პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

ს. ქ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა [illegible] ტელეფონი: [illegible] კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

№ 67 შაბათი, 25 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 25 მარტი 1922 წ. № 67

# მოქალაქენო! თქვენი მოვალეობაა შესწიროთ საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ!

ორშაბათს, 27 მარტს, საღამოს 6 საათზე

საქ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება

## თათბირი რაიონული კომიტეტების და სამხედრო ორგანიზაციების

შეერთებულ მუშაობის საკითხზე. თათბირზე მოწვეულნი არიან ამხ. ამხ. ლისოვსკი, ნიკოლოზ ოკუჯავა, კევორქიანი, გოლცბაუმი და ფედმანი.

თბილ. კომიტეტის მდივნის მაგიერ **ჯორბენაძე.**

(3—2)

---

## საქართველოს ყველა პროფესიონალურ-საწარმოო კავშირების ცენტრალურ სამმართველოებს

შაბათს, 25 ამა მარტს, საღამოს 6 საათზე საქართველოს პროფკავშირების საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

## გაფართოებული სხდომა

საქართველოს პროფკავშირების საბჭოსი, კავშირების ცენტრალურ სამართველოების, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების მონაწილეობით

**დღის წეს-რიგი:**

1. კავშირებში მეცადინეობის შესახებ.
2. ცეცხლის გაჩენაზე და მის საწინააღმდეგო ზომების შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

სხდომის შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი.

**ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.**

---

ორშაბათს, 27 მარტს, დღის 1 საათზე

შესდგება

## თათბირი

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებისა რაიონულ კომიტეტების მდივნებთან და ორგანიზატორებთან ერთად, რომლებიც განაგებენ საგიტაციო მუშაობას.

ამხანაგების დასწრება სავალდებულოა, რადგანაც დღის წეს-რიგში დგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **ჯორბენაძე.**

(2—1)

---

კვირას, ამა წლის 26 მარტს,

დღის 12 საათზე თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება

## თათბირი რკინის გზაზე პარტიული მუშაობის შესახებ

თათბირზე მოწვეულნი არიან ამხ. ამხ.: გოლდბაუმი, მაშკევიჩი, კაკაბაძე, დიკი, მორჩილაძე, ვლადიმერ ქავთარაძე, კობახიძე და პროფკავშირთა საბჭოს და კავკასიის საოლქო კომიტეტის სატრანსპორტო ქვეგანყოფილების წარმომადგენელნი.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **ჯორბენაძე.**

(2—1)

---

**შაბათს, 25 მარტს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს კლუბში (მუშათა სასახლე) მოხდება**

## ქ. თბილისის მთლიან მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა კრების გახსნა

ფაბრიკა-ქარხნების და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად.

**დღის-წესრიგი:** 1) მუშათა კოოპერაციის ამოცანები, 2) საარჩევნო კომისიის მოხსენება, 3) მთლიანი მუშათა კოოპერატივის გამგეობის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ, 4) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 5) წესდება, 6) ხარჯთ-აღრიცხვა, 7) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

25-ს კრების დახურვის შემდეგ რწმუნებულთა და დამსწრეთათვის გაიმართება კ ო ნ ც ე რ ტ ი.

25 მარტს საღამოს 4 საათზე პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში შესდგება კომფრაქციის რწმუნებულთა სხდომა.

რწმუნებულთა რეგისტრაცია და მანდატების გაცემა—მთლიან მუშათა კოოპერატივის განყოფილებაში (კიროჩნი ქ. 7.)

---

## კიდევ თესვის კამპანიისათვის

საგაზაფხულო თესვის კომპანია უკვე კარგა ხანია რაც გაჩაღებულია და მიმდინარეობს ყველა შესაძლებელ ძალების ამოძრავებით და საშუალებათა გამოყენებით.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მის ასე თუ ისე ჩატარებაზეა დამოკიდებული ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი. თუ შევძლებით ამ უდიდეს საქმის ცოტად თუ ბევრად წარმატებით ჩატარება, ერთგვარ გულდამშვიდებას ვიგრძნობთ და უკუვაგდებთ მომავალი საშინელი სიმშილის და ამოწყვეტის ლანდს, რომელიც მუდამ დაგვტრიალებს თავს და რომელსაც ნერვიულობა და სასოწარკვეთილებაც კი შეაქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში.

საქმის მთავარი შემაფერხებელი მიზეზია—სათესლე მასალის ნაკლებობა. ჩვენს გაზეთში სისტემატიურად იბეჭდება ცნობები თესვის კამპანიის მსვლელობის შესახებ, რომლებიდან სჩანს რომ ჯერ კიდევ დიდია ამ მხრივ გასაჭირი.

მოვიყვან ზოგიერთ ციფრს:

თბილისის მაზრისათვის საჭიროა: ქერი 3.000 ფ. ხორბალი—2.5008 ფ. სიმინდი—6.000 ფუთი, კარტოფილი 2.000 ფ.

ბორჩალოს მაზრას ესაჭიროება 30 ათასი ფუთამდე სათესლე მასალა.

დუშეთის მაზრას—20 ათას ფუთამდე.

შორაპნის მაზრას—ამდენივე. გორის მაზრას 30 ათას ფუთამდე.

ზუგდიდის მაზრას აკლია 2000—3000 ფუთამდე სიმინდი.

უნდა ვიფიქროთ, რომ დანარჩენი მაზრებიც არ არიან სათესლე მასალით სავსებით უზრუნველ ყოფილნი.

სათესლე მასალის ნაკლებობას თავის საპატიო მიზეზები აქვს.

არსებული ცნობებით მთელი საქართველოს სათესი სივრცე უდრის დაახლოვებით 600.000 დესეტინა მიწას. 1921 წელში მოსახლეობამ საკუთარი თესლით შესძლო დაეთესა მხოლოდ 440.000 დესეტინა. საბჭოთა ხელის უფლებამ, მიუხედავათ იმისა, რომ ის დამყარდა ჩვენში თესვის მოახლოვების მომენტში, მაინც მოახერხა 80.000 დესეტინისათვის სამყოფი თესლის და ფულის დარიგება. დარჩა დაუთესელი 80 000 დეს. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას რომელსაც სრული დათესვის და საშუალოზე კარგი მოსავლის დროსაც არ ყოფნიდა საკუთარი ჰირნახული, 80.000 დესეტინის დაუთესველობამ ფრიად მძიმე შედეგები მოუტანა. მდგომარეობა ზედმეტათ გაამწვავა მოუსავლობამ, რომელიც გამოიწვია სტიქიურმა უბედურებამ,—გვალვამ, სეტყვამ, კოკისპირულმა წვიმებმა.

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ თესვის ცენტრალურ კომიტეტის გამოანგარიშებით, 1922 წლისთვის გლეხურ მოსახლეობის სათესლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო 300.000 ფუთი ხორბალი და ქერი და 15.0000 ფ. სიმინდი. მაგრამ მოუსავლობის შემდეგ ეს რაოდენობა გაცილებით არ აღმოჩნდა საკმარისი. გამოირკვა, რომ გლეხობის ღარიბ ნაწილს მთავრობის მხრით ფართე დახმარების აღმოუჩენლად არ შეუძლია მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიაში დასთესოს იმ სივრცის ნახევარზე მეტი, რომელიც მან დასთესა 1921 წელში. ამ გვარად წამოიჭრა სათესლე მასალის ახალი ფონდის შექმნის საჭიროება.

თესვის ცენტრალური კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს მოსახლეობისათვის საკმაო თესლის დროზე მისაწოდებლად. მან უკვე დაურიგა თესლის ფრიად მნიშვნელოვანი რაოდენობა ღარიბ გლეხობას.

კომიტეტი ამ ჟამად ცდილობს ამერიკული ხორბლის ახალი პარტიის 100 ათასი ფუთის მიღებას ბათომში გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის განკარგულებაში მყოფ სათესლე მასალის მარაგიდან.

სტამბოლიდან მოსულია გემი 42 ათასი ფ. სათესლე სიმინდით თესვის ც. კომიტეტის საჭიროებისათვის.

ასე რომ იმედია, მშრომელი გლეხობისათვის სათესი მასალა მიწოდებული იქნება, ოღონდ ეს უაღრესად საშური საქმეა. თესვა ბევრ ალაგას უკვე დაიწყო, სხვაგან ამ დღეებსა ან კვირეებში შეუდგებიან, ამიტომ თესვის სასწრაფოდ გადაზიდვა დანიშნულების ადგილას და დარიგება, უაღრესი მნიშვნელობის საქმეა. მდგომარეობას ართულებს აქა-იქ ტრანსპორტის მოუწყობლობა. (ახალ ქალაქის და ახალციხის მაზრებში და სხვაგანაც). მაგრამ ეჭვი არაა, რომ ენერგიული ზომებით და თვით მშრომელი მასების დახმარებით ეს დაბრკოლებაც გადალახული იქნება.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია ღარიბი მოსახლეობის მომარაგება ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით. ბევრგან მომუშავე პირუტყვის მწვავე კრიზისს განიცდიან. აქ საჭიროა ფართედ მოეწყოს ურთიერთი დახმარების ორგანიზაცია. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს და საბჭოთა დაწესებულებებს მართებს ამ საქმეში გამოიჩინონ ენერგიის და თაოსნობის მაქსიმუმი, პროპაგანდით და ცოცხალ საქმით. ინტენსიურად უნდა ამუშავდენ გამქირავებელი პუნქტებიც, რომლებიც მიაწვდიან გლეხობას გუთნებს, სახნისებს, სათეს მანქანებს და სხვა აუცილებელ სამეურნეო იარაღებს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული რომ შეერთებული ძალღონით ყველა საჭირო ზომას განვახორციელებთ და თესვის კამპანიიდან გამოვალთ სავსებით გამარჯვებულნი და დაიმედებულნი, რომ მომავალში თავიდან აგვცდება ის საშინელი უბედურება, რომელსაც სიმშილი ეწოდება.

გ. ქ.

---

მედ დაიჩქაროს ის, რაც ასე საჭიროა ნამდვილ ნორმალურ და მშვიდობიან ცხოვრების ჩამოსაგდებათ - ძირ გამომპალ და იდეურათ გაკოტრებულ კაპიტალიზმის ფიზიკურადაც გაკოტრება მისი მეუფების დამხობის სახით.

აქილესი.

---

## პურის საკითხი

მცხოვრებლებისადმი პურის მიწოდების საკითხი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ყოველთვის მწვავედ იდგა, მაგრამ მან დღევანდელ ჩვენს ჯერ კიდევ მოუწყობელ ცხოვრებაში განსაკუთრებული ხასიათი მიიღო.

საერთო სიძვირის დროს, პური როგორც აუცილებელი მოთხოვნილების საგანი ფასობდა უფრო ძვირათ ვიდრე დანარჩენი საქონელი, მაგრამ მათ ფასების ზრდაში თუ დაცემაში თითქმის ყოველთვის არსებობდა განსაზღვრული პროპორცია, თუ ძვირდებოდა პური, ზევით იწევდა დანარჩენი საქონლის ფასებიც. პურის გაიაფება კი იწვევდა საქონლის ფასის დაცემას და სხვ.

ასე რომ პური განსაზღვრული, მტკიცე ეკვივალენტი შეიქნა ღირებულებების განსაზღვრის დროს. ეს ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების, როგორც პურის მონოპოლიის, ისე ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგაც.

მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენში საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნების თავისუფლად მიღების გამოცხადების შემდეგ, როდესაც საქართველოს ბონების კურსმა ისევ აიწია და საქონლის ფასები სათანადოთ დაეცა ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგ მოვლენას ე. ი. ზევით აღნიშნული პროპორცია დაირღვა: მაშინ, როდესაც სხვა საქონლის ფასები საერთოდ იჩენს დაცემის ტენდენციას, პურის ფასები არა თუ ეცემა,—არამედ რამდენიმე ხნით ერთ დონეზე შეჩერების შემდეგ,—ეტყობა ტენდენცია ზევით აწევისა. ეს მოვლენა ძალიან მძიმედ აწვება თავზე მშრომელი ხალხის უდიდეს ნაწილს და ამიტომ დღევანდელი ჩვენი ყურადღება უნდა მიქცეული იქნეს იქითკენ, რომ მართლაც და ეს ფრიად სერიოზული საკითხი, რომლის შედარებით მოგვარება შეიძლება დღევანდელ პირობებშიაც, იქნას გადაჭრილი სათანადო პრაქტიკული ნაბაჯების გადადგმით.

ჩვენ არ შეუდგებით პურის დღევანდელ ფასების აწევის ყველა მიზეზების დასახელებას, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ მთავარ გარემოებას, რომელიც ჩვენის აზრით სხვა მიზეზებთან ერთად ხელს უწყობს პურის საკითხის გამწვავებას და მისი ფასების ხელოვნურად ზრდას.

ამ ჟამად თბილისის მცხოვრებლების პურის მიწოდების საქმე (თუ არ მივიღებთ მხედველობაში სახელმწიფოს მიერ მოსამსახურეთა დაკმაყოფილებას) თითქმის კერძო პურის მცხობლების ხელშია. ისინი ბევრჯერ იმაზე მეტს პურს აცხობენ, ვიდრე მისი გასაღება თითონ შეუძლიათ. დღეს ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით პურით მოვაჭრე მეწაღეს, დალაქს, აყარებელ სპეციალურ-დუქნებს და სხვ., რომლებსაც გამოაქვთ პური საცხობებიდან და ჰყიდიან მცხოვრებლებზე სწორედ იმავე ფასებში, როგორც ის იყიდება საცხობებში. ამავე დროს პურით წვრილი მოვაჭრეები მაგ. შავ პურს, რომელიც დღეს ყველგან ფასობს 15,000 მან. პურის საცხობებიდან ასეთ პურს ბითუმად ყიდულობენ ფუთს 440,000 მან. ე. ი. გირვანქას 11,000 მანეთად. აქიდან დანამდვილებით შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ საცხობების პატრონი წვრილ მოვაჭრეებზე იგებს 2-3 ათას მანეთს გირვანქაზე. მაშასადამე პურის საცხობებში პური, რომელიც კერძო ბაზარზე 15,000 მან. იყიდება ჯდება გირვ ნქა არა უმეტეს 8—9 ათასი მანეთისა.

ყველა ეს ცხადათ ამტკიცებს პურის გარშემო გამართულ საშინელ ვაკხანალიის გარდა იმასაც, რომ ეს მოვლენა არაა გამოწვეული მარტო საერთო სიძვირისაგან, არამედ ამას ასაზრდოებს პურის მცხობელების ალვირ ახსნილ სპეკულიაციასთან ერთად ჩვენი ცხოვრების სათანადო მოუწყობლობა.

საორგანიზაციო პერიოდიდან საამშენებლო ხანაში გადასვლის დროს ჩვენ შეგვიძლია მიუთითოთ ქალაქის მეურნეობას ამ საკითხის მოგვარებაზე, მე მგონია ჩვენ ხელში არსებულ რესურსების თუ შესაძლებლობანის გამოყენებით შევძლებთ ამ საქმის მოგვარებას, რაც, თუ მიიღებთ მხედველობაში ზევით ნათქვამს, კონკრეტიულად შეიძლება გამოიხატოს შემდეგში: ამ ჟამად პურზე შედარებით მომატებული ფასები გამოწვეულია ხელოვნურად, უმეტესად კერძო პურის მცხობელების მიერ, ამიტომ აქიდან გამწვავებულ მდგომარეობის გაუმჯობესებას ჩვენ შევძლებთ მაშინ თუ ქალაქი მოახერხებს გამოგლიჯოს ხელიდან (ნაწილობრივად მაინც) კერძო პურის მცხობელებს მცხოვრებლებისადმი პურის მიწოდების საქმე, და მოაწყოს ქალაქის რაიონებში საკუთარი პურის საცხობები. ამის განხორციელებას, რასაკვირველია დასჭირდება დიდ თანხებთან ერთად საჭირო მუშა-მოსამსახურეთა შტატი და სათანადო ორგანიზაციის მოწყობა, მაგრამ გაკეთდება ძალიან დიდი საქმე (რასაც აადვილებს ქალაქის ხელში არსებული სავაჭრო ბინები), რომლის სათანადო მოგვარება უთუოდ დიდ კონკურენციას გაუწევს პურის კერძო მცხობელებს და ქალაქი შესძლებს დღევანდელი ხელოვნურად გაბერილი ფასების საგრძნობლად დაცემასთან ერთად გაიჩინოს შემოსავლის წყაროც.

ა. ა—ნი.

---

## იმედები გენუას კონფერენციაზე

გენუის კონფერენცია, რომლის პროგრამაც მისი მოწვევის პროცესში რამდენჯერმე შეიცვალა და რომელმაც ბრიანის კაბინეტი იმსხვერპლა და სხვა მრავალიც შეარყია, ამ ჟამად წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის ძველი და ახალი მტრების ერთად ერთ იმედს დაწყებული რუსეთის ტერიტორიიდან გადარეკილ თეთრ-გვარდიელობიდან და დათავებული საქართველოს მენშევიკებით.

ეს ისტორიის სანაგვეზე გაგდებული და ცხოვრების სინამდვილისაგან გაბახებული ხალხი, იოლად ვერ ურიგდება თავის მწარე ხვედრს, კიდევ უფრო მწარე ცხოვრების გაკვეთილებს, რომელიც ამ ოთხი წლის განმავლობაში იმათ მიიღეს და ცხოვრებისაგან ულმობელათ განწირულ თავიანთ ბედს ერთხელ კიდევ სდებენ სასწორზე ახალი და ახალი ავანტიურის თუ ჩადენით არა, განზრახვით მაინც.

ჩვენ ამ ჟამად გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმპერიალისტთა წრეში გენუას კონფერენციასთან დაკავშირებით წამოყენებულ რუსეთის აღდგენის საკითხს, რის შესახებაც დღეს უცხოეთში გაძლიერებული მსჯელობა და მასლაათი აქვთ, როგორც ექსპერტებს, ისე პრესას. როგორც სჩანს ასეთ გაბედნიერებას რუსეთს განაპირა ქვეყნებიდან უპირებენ და ისიც საზუფეროთ შექმნილ პატარა სახელმწიფოების ხელით. ისინი სერიოზული კილოთი მსჯელობენ ამაზე და კიდევ უფრო სერიოზული კილოთი აწყობენ ამ მხრივ გეგმებს. ანტანტის მსუნაგი იმპერიალიზმი, ეს სიმდიდრისა და შრომის ყაჩაღი და ავაზაკი, ახლა უკვე უმანკო ცხვრის ქურქს იხამს და საბჭოთა სოციალისტურ რუსეთის მეურნეობა-მრეწველობის მზრუნველის როლში გამოდის. ალბათ მენშევიზმის მრევლს თუ ატყვილებენ.

ჩვენ კარგათ ვიცით რას წარმოადგენს მათი ეს „მზრუნველობა“, თავის ქვეყნის და რუსეთის მშრომელ ხალხს ის არა ერთხელ გამოუცდია და ახლა ტყვილათ ირჯებიან ეს ვაჟბატონები, როდესაც თავის მსუნაგობას ლამაზ სიტყვებში ხვევენ. რუსეთში უკვე აღარაა მენშევიზმის მრევლი, თავის ქვეყნებშიაც შეთხელებულია მისი რიგები—და ამაოთ დაეკარგება მას ამ მხრივ გაწეული შრომა.

გენუას კონფერენციის მოახლოვებასთან დაკავშირებით ახმაურდენ ზევიდან თითის ჩვენებითა და კარნახით ანტანტის დიდ იმპერიალისტების პატარა ფინიებიც, თავის ექსტერიტორიალურ თუ ტერიტორიალურ „მთავრობებით“. პოლონეთი და ფინლიანდია „თავდაცვითი“ კავშირს კრავს, პეტლიურას რთავენ და გენუას კონფერენციისათვის ამზადებენ, სავინკოვის ბანდებს მობილიზაციას უშვრებიან, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მთავრობებსაც არ აკლებენ ყურადღებას და სხვა. ერთი სიტყვით გაცხარებული მუშაობა აქვთ მომავალ ნადავლის დაყოფა—დასანაწილებლათ იმ გენუას კონფერენციის იმედით, რომელიც ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ რომლიდანაც უკვე მკვდრის სუნი ამოდის.

ჩვენ არ ვიცით ამ შემთხვევაში ვინ ვის ატყვილებს,—პატარა ფინიები დიდ ნაგაზებს, თუ დიდი ნაგაზები პატარა ფინიებს, მაგრამ ერთი კი ცხადია: მათ აქედან არაფერი გამოუვათ და დიდ ნაგაზების იმ მკვდარ კაპიტალს პატარა ფინიებისადმი ავანსათ გაცემულს კვლავ მიემატება რამდენიმე მილიონი და მილიარდი, ხოლო პატარა ფინიების ისედაც შეთხელებულ რიგებს რუსეთის წითელ არმიელთა ტყვია კიდევ უფრო შეათხელებს. რუსეთის მშრომელ ხალხს ომი და სისხლის ღვრა არ უნდა, მაგრამ არც ძველი ბატონი და მყვლეფელი და ვაი იმას ვინც ასეთის მოხვევას მოუნდომებს მას თავზე.

გენუას კონფერენციამ ამ მხრივ შეიძლება რუსეთის რევოლიუციას სხვა მხრივ გაუწიოს სამსახური და არა მარტო სული შეუნახოს საერთაშორისო რევოლიუციის დღემდი, არა-

---

## ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს პირველი სხდომა

22 მარტს, საღამოს 10 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს შენობაში შესდგა პირველი სხდომა საკავშირო საბჭოსი, რომელიც ამორჩეული იყო აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების სრულუფლებიან კონფერენციაზე. დაესწრენ: ამხ. მუსაბეგოვი, იაგუბოვი, ტალიბლე, მიასნიკოვი, ელიავა, შუშკოვი, და რუსანოვი. თავმჯდომარეობს საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. მიასნიკოვი. პრეზიდიუმის ორი სხვა წევრი—ამხ. მდივანი და ამხ. ნარიმანოვი ეხლა იმყოფებიან მოსკოვში გენუაში გამგზავრების მოლოდინში. ვერ დაესწრო აგრეთვე ამხ. სვანიძე, რომელიც გამგზავრებულია მოსკოვს ფინანსთა გაერთიანებულ კომისარიატების საქმეებზე.

პირველი სხდომის დღის წესრიგში იდგა საკითხები საკავშირო საბჭოს საბოლოო კონსტრუქციასთან დაკავშირებული.

სახალხო კომისარიატებს წინადადება მიეცა 2 დღის განმავლობაში წარმოადგინონ გაერთიანებული სახალხო კომისარიატების სტრუქტურის, ორგანიზაციის და შემადგენლობის გეგმა, და აგრეთვე რესპუბლიკების გაერთიანებულ კომისარიატების ლიკვიდაციის და მათ ნაცვლად რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოსთან სრულუფლებიანი წარმომადგენელთა ინსტიტუტის დაარსების გეგმა.

საკავშირო საბჭოს საბოლოო კონსტრუქციის დროს განმავლობაში იმ სახალხო კომისრებს, რომლებიც აქ არ იმყოფებიან, მათ მაგიერობას აასრულებენ:

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოვალეობას—ამხ. **ალიევი**, ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარის—ამხ. **ყამარაული**, სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარის—ამხ. **კუზნეცო-**

# მოქალაქენო! დღეს იწარმოებს შეწირულებათა შეგროვება საქართველოს

ვი, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის—ამხანაგი **ცინცაძე**.

შრომის სახალხო კომისრის—ამხ. **მიქაძე**.

საკავშირო საბჭოს თავმჯდომარეობა პირველ რიგში დაევალა ამხ. **მიასნიკოვს** (მეორე რიგში ამხ. **მდივანს**, მესამეში—ამხ. **ნარიმანოვს**).

გაერთიანებულ ამიერ-კავკასიას ეწოდება: **„ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული კავშირი. საკავშირო საბჭო“.**

საკავშირო საბჭო მოთავსებული იქნება იმ შენობაში, რომელიც უჭირავს საქართველოს ცენტრალურ აღმასკომს და სახალხო კომისართა საბჭოს.

გაერთიანებული კომისარიატები მოთავსდებიან საქართველოს სათანადო კომისარიატებში, ე. ი. გაერთიანებული ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის შენობაში და სხვა.

საკავშირო საბჭოს შემდეგი სხდომა შესდგება აპრილის პირველ რიცხვებში, რომელ დროისთვისაც დამთავრდება ყველა წინასწარი მუშაობა.

## წითელ რესპუბლიკებში

### რუსეთი.

**ესერების გასამართლება.**

**მოსკოვი.** 22 მარტი, (რადიო) ამხ. ლენინის და ამხ. ჩიჩერინის სახელზე მიღებულია დეპეშა მუშათა დამოუკიდებელ პარტიის ნაციონალური საბჭოსაგან (გამოტოვებულია)... ვენის სოციალ დემოკრატიის წარმომადგენელ შტაუნინგიდან, ვანდერველდედან და სრულიად გერმანიის საერთო მუშათა კავშირის პრეზიდიუმის წარმომადგენელ რეინარტიდან, რომლის თანახმად ისინი ითხოვენ გადაიდვას გასამართლება სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის წევრების, რომელთაც ბრალი ედებათ რუს კომუნისტების მკვლელობაში, 3 ინტერნაციონალის ბერლინის ყრილობამდე. ამის საპასუხოდ იუსტიციის სახალხო კომისარმა გაგზავნა შემდეგი დეპეშა: „რუსეთის საბჭოთა მთავრობის არც ერთ წევრს, ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელნი გადაუხვევლად აწარმოებდენ იმ პოლიტიკას, რომელსაც ცოტა მერყეობით ატარებდენ ვენის გაერთიანებული სოციალისტების წარმომადგენლებიც. ისინი მუდამ ატარებდენ პირდაპირი თუ არა პირდაპირი კავშირის პოლიტიკას იმ ექსპლოატატორულ კლასებთან, რომელნიც ყველა ქვეყნებში სდევნიდენ და კლავდენ კომუნისტებს, რის მაგალითები განსაკუთრებით მრავალია და თვალსაჩინო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მხოლოდ ამ გაერთიანებით და პოლიტიკური დაახლოვებით ესერებთან და მენშევიკებთან, რომლებმაც ფაქტიურად მხარი დაუჭირეს დენიკინის და კოლჩაკის შემოტევას რუსეთზე, შეიძლება აიხსნას თქვენი პარტიების ნდობა ესერების და მენშევიკებისადმი და თქვენ მიერ დაცვა იმათი, ვისაც თქვენ ამხანაგებს უწოდებთ და ვინც არიან რუსი კომუნისტების მკვლელები. ნამდვილად კი, არა თუ გამოტანილია სასჯელის გადაწყვეტილება ესერების პარტიის წევრების მკვლელობის საქმეზე, რაზედაც თქვენ იწერებით, არამედ ჯერ არც ყოფილა გასამართლება და სასამართლოს არც ჩაუბარებია საბრალმდებლო აქტი. ყოველ შემთხვევაში მოვალეთ ვსთვლით თავს დაუმატოთ ამას, რომ საბჭოთა მთავრობა უარს არ ამბობდა იმ გვარ წინადადების მიღებაზე, როგორიცაა ტყვეების გაცვლა გამოცვლა ან და განთავისუფლება ამა თუ იმ კატეგორიის დატუსაღებულთა, როდესაც ასეთ წინადადებებს იძლეოდა დენიკინის მთავრობა მისი საბჭოთა რუსეთზე გალაშქრების დროს იმ მიზნით რომ აღედგინა მემამულეების მთავრობა.“

## გენუას კონფერენციის შესახებ

**გენუას კონფერენცია.**

**ლონდონი.** „ტაიმსი“ წერს: ამ რიგად გენუას კონფერენციის მოწვევის ვადა საბოლოვოდ გამორკვეულია. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ კონფერენციის მიზანი და ამოცანები ღირსია დიდი ყურადღებისა ყველა იმ სახელმწიფო მოღვაწეების მიერ, რომლებიც ზრუნავენ მომავლისათვის. მაგრამ ამავე დროს შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ესა თუ ის კონფერენ. გადაწყვეტდა იმ დიდ მნიშვნელოვან ამოცანებს, რომლებიც დგანან გენუას წინაშე. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ავსტრია მძიმე და უმწეო მდგომარეობაშია, რომ რუსეთის მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდია, ვინემ შეიძლება წარმოვიდგინოთ. განა შესაძლებელია პრემიერების ამ განუწყვეტელ თათბირებით საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესობა? რა შეიძლება იქნეს მიხწეული ორი კვირის კონფერენციაზე გარდა იმისა, რომ აქ ერთხელ კიდევ გამოაშკარავდება მკაცრი ჩხუბი და ევროპის სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობა. რომ კონფერენციას შეუძლია მიახწიოს ყველა იმ საკითხების კეთილად გადაწყვეტას, რომლებიც დგანან ევროპის წინაშე და ბოლო მოუღოს ევროპის სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებს. ცხადია უკანასკნელ წლების ისტორიამ კიდევ საკმაოდ ვერ ასწავლა ჭკუა ევროპის სახელმწიფოებს და ეს გამოიწვევს კონფლიქტის გაღრმავებას თვით კონფერენციაზე. საფრანგეთი მიდის კონფერენციაზე უხალისოდ. ბრიტანიის მთავრობა მზად არის მხარი დაუჭიროს წამოყენებულ საკითხების დადებით გადაჭრას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ გერმანია და რუსეთი ყოველ ღონეს იხმარენ, გამოიტანონ ამ კონფერენციიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა. ამისთვის ორივე ქვეყანა აკეთებს ყველაფერს რაც მათზეა დამოკიდებული. ცხადია, რომ მოკავშირეებმა უნდა იმოქმედონ სათანადო სიფრთხილით ¢ ყველაზე ადრე უნდა განამტკიცონ ინტერესების ერთიანობა იმისათვის, რომ სრულიად მზად იყვენ თავიანთ გაიძვერა და ჯიუტ მტრებთან შესახვედრად. სამწუხაროდ უკანასკნელ თვეებ ს ამბებმა დაგვანახეს, რომ მოკავშირეთა ინტერესების ერთიანობაზე ჯერ ლაპარაკიც მეტია.

## კაპიტალიზმის საზოგადოებში

### ინდოეთში.

**საერთაშორისო სანიტარული კონფერენცია.**

**ბორდო.** 21 მარტი, რადიო. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა თანხმობა გააგზავნოს თავისი წარმომადგენელი სანიტარულ კონფერენციაზე ვარშავაში. ამ საერთაშორისო კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთი პირველად მიიღებს მონაწილეობას ევროპის სახელმწიფოების სხვა წარმომადგენლებთან თანაბარი უფლებით.

**ელზას—ლორენის დამოუკიდებლობა**

**ლონდონი.** 21 მარტი, რადიო. „ჩიკაგო ტრიბუნ“ იუწყება, რომ ამერიკაში გავრცელებულია დიდი რიცხვი პროკლამაციებისა, რომლებიც მოითხოვს ელზას—ლორენის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებას.ამ პროკლამაციებზე აზის ბეჭედი „ელზას ლორენის რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტის“. პროკლამაციები ხელმოწერილია კომიტეტის იმ წევრების მიერ, რომელნიც ცხოვრობენ ბადენ-ბადენში.

**ალბანეთში.**

**პარიზი.** 21 მარტი. რადიო. „ჟურნალ დედება—იუწყება, ალბანიაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, გაძლიერებულია სამხრეთ სლავიის მოსაზღვრე ჯარები. თვით ბულგარეთში სწარმოებს მწვავე ბრძოლა დარინის მთავრობის მომხრეებს და ბერანურ ასანბლებს შორის. ფიქრობენ, რომ ტირანის მთავრობა გამარჯვებული გამოვა.

**ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია.**

**მოსკოვი.** 23 მარტი, რადიო. 20 მარტის რიცხვით ჰელსინგფორსიდან გადმოგვცემენ: ფინეთის ბეჭდვითი ბიურო იუწყება, რომ ბალტიის განაპირა სახელმწიფოების კონფერენცია დამთავრდა 17 მარტს. მოაწერეს ხელი რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას ურთიერთ ცნობის შესახებ. მონაწილეებმა ვალად იდვეს თავზე არ შეკრან რამე ხელშეკრულება, რომელიც რომელიმე მათგანის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

**ვარშავის კონფერენცია.**

**მოსკოვი.** 23 მარტი, რადიო. ვარშავიდან 16 მარტს მოსული ცნობების თანახმად, ვარშავის კონფერენციის შედეგად, როგორც გადმოგვცემს გაზეთი „მუშა“, დაიდება პოლიტიკური ხელშეკრულება ფინეთის, ესტონეთის, პოლონეთის და ლატვიას შორის.

**წითელი პროფინტერნისათვის.**

**მოსკოვი,** 23 მარტი, რადიო. ჰელსინგფორსიდან 20 მარტის რიცხვით იტყობინებიან: 18 პროფკავშირი 13,000 ხმის უმეტესობით 6,000 წინააღმდეგ მომხრე არიან წითელ პროფინტერნაციონალთან შეერთების.

**მე-3 ინტერნაციონალის კონფერენცია.**

**მოსკოვი,** 23 მარტი, რადიო. 19 მარტის რიცხვით ვარშავიდან იუწყებიან: მომავალ მე-3 ინტერნაციონალის კონფერენციის შესახებ „ტანი“ აღნიშნავს, რომ მისი მიზანია გააერთიანოს სოციალისტური და კომუნისტური ძალები გენუას კონფერენციის წინაშე, რათა მოახდინონ გავლენა ბურჟუაზიულ მთავრობებზე საბჭოთა მთავრობის აღორძინებისათვის.

**ბადინის და მარტის კანდიდატურა.**

**მოსკოვი,** 23 მარტი, რადიო. ვარშავიდან 18 მარტის რიცხვით აუწყებიან: დამატებით მუნიციპალურ არჩევნებზე, რომლებიც დანიშნულია 26 მარტისთვის პარიზში კვლავ წამოყენებულია კანდიდატურა მე-14 ოლქიდან ლუი ბადინი და მე-20-დან მარტი.

**ლოკაუტი ინგლისში.**

**მოსკოვი,** 23 მარტი. რადიო. ინგლისის მთავრობამ არ მიიღო მუშათა ორგანიზაციების გაერთიანებული კავშირის თხოვნა ლოკაუტის მიზეზების გამორკვევაზე, რადგანაც კონფლიქტში დაინტერესებულმა სხვა კავშირებმა უნდა გამოსთქვან აზრი მწარმოებლების ულტიმატუმის შესახებ. კაბინეტი არ გადასდგამს არავითარ ნაბიჯს 25 მარტამდი, ვიდრე არ გამოირკვევა ხმის მიცემის შედეგები იმ 47 კავშირისა, სადაც ითვლება ერთ მილიონ წევრზე მეტი. ლოკაუტის შესახებ კითხვას გაარჩევენ პარლამენტში. მწარმოებლები ცდილობენ დააყენონ სამუშაოზე სხვა კავშირების წევრები, მაგრამ მემანქანე სააშენებლო მუშების კავშირმა მიიღო ამის წინააღმდეგ ზომები.

**მშვიდობიანობა მცირე აზიაში.**

**რომი,** 22 მარტი. რადიო. „ტრიბუნა“ იმედს გამოსთქვამს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირი პარიზში ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, მიგვიყვანს ბერძენ-ოსმალთა კონფლიქტის მოწესრიგებასა და მცირე აზიაში მშვიდობიანობის აღდგენამდე.

**მზად არის თუ არა ანგორა, მოაწეროს ხელი ზავს.**

**ლონდონი,** 22 მარტი. რადიო. ლორდ კერზონმა იუსუფ-ქემალ ბეის მიღების დროს, კითხა მას: მზად არის თუ არა ანგორის მთავრობა დაუყოვნებლივ დასდოს ზავი ბერძნებთან? იუსუფ ქემალ-ბეიმ უპასუხა, რომ ამჟამად მას არ აქვს რწმუნება ამ საკითხის განსახილველად. იუსუფ ქემალ-ბეისთან ერთად ლორდ კერზონმა მიიღო სტამბოლის მთავრობის წარმომადგენელი იზეტ-ფაშა.

**საფრანგეთის უშიშროება.**

**ბორდო.** 22 მარტი, (რადიო). სამხედრო მინისტრი მაჟინო, რომელიც იცავდა თემთა პალატაში სამხედრო სამსახურის წელიწად ნახევრის ვადის კანონ პროექტს, განაცხადა, რომ საფრანგეთისათვის საჭიროა უზრუნველ ყოს თავის უშიშროება სამხედრო სამსახურის წელიწად ნახევრიან ვადის საშუალებით, საფრანგეთს ეყოლება სულ 75,000 სამხედროდ—მომზადებულ კაცით მეტი, ვინემ იქნება გერმანიაში.

## დიდი საქმის დასაწყისი

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამართველო შეუდგა საქართველოს სამეურნეო რაიონებათ დაყოფას. ამ საქმის მოსაგვარებლათ უკვე მოწვეული არის ორი კომისია: 1) დიდი, სადაც მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი მეცნიერების იმ დარგებისა, რომელნიც საჭირონი იქნებიან რაიონების განსაზღვრის დროს, 2) მცირე—სადაც მოწვეულნი არიან სტატისტიკოსები და ეკონომისტები მუშაობის უახლოესი სახელმძღვანელოთ. ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს მიერ დაწყებული არის დიდი და ფრიად საჭირო საქმე. ამ საქმეს სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება მთავრობის, საზოგადოების, სპეციალისტების. შესაძლებელია ეს ცნობა ბევრისათვის გაუგებარი იყოს და უმნიშვნელოთაც ჩაითვალოს. საქმეს განმარტება სჭირია.

საქართველო, მართალია, შეიცავს მცირე ზომის ტერიტორიას, მაგრამ მცირე სივრცე შეიცავს დიდ მრავალფეროვან განსხვავებას. ბუნებრივი პირობები, პირობები მეურნეობის საქართველოში დიდ სხვადასხვაობას შეიცავს და წარმოადგენს. ოროგრაფიული პირობებიც მრავალგვარია: საქართველოში არის დიდძალი მთები, რომლებიც სრულიად იკარგება მეურნეობისათვის უწყლობის გამო; მათი მელიორაცია ანუ გაუმჯობესება, რათა შესაძლებელი შეიქნეს მეურნეობის წარმოება აუცილებელია, არის ისეთი ადგილები, სადაც შესაძლებელია უმაღლესი მეურნეობის წარმოება. საქართველოში მრავალი სამეურნეო რაიონები არის. ჩვენი უბედურება, ჩვენი უკიდურესი დაქვეითება, ჩვენი მეურნეობის ზარალი გამომდინარეობს იმიდან, რომ ჩვენ არ ვიცით რას შეიცავს, რას წარმოადგენს საქართველო როგორც სამეურნეო ერთეული. რაც ვიცით, ვიცით ზოგადათ, შემთხვევით, უცაბედათ. ჩვენ ხშირათ ვიძახით, რომ მდიდარნი ვართ, დიდი სიმდიდრის მესაკუთრენი ვართ, მაგრამ სად არის ეს სიმდიდრე, რას წარმოადგენს ჩვენი სიმდიდრე—არაფერი ვიცით და ვიხჩვებით შიმშილისაგან, ვიხჩვებით გაჭირვებისაგან.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ანუ ტეხნიკური წარმოების შორის დიდი განსხვავება არის, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ასპარეზი არის საჭირო, გამოსადეგი მცენარეების წარმოება ბუნებრივ პირობებში. ბუნებრივი პირობები: მიწა, ჰაერი, ბუნების ძალები ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ ჩვენთვის საჭირო და აუცილებელ მცენარეებმა შესძლოს განვითარება, შესძლოს ბრძოლა არსებობისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოება, სოფლის მეურნეობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც წინასწარ შესწავლილი და გათვალისწინებულნი იქნებიან წარმოების მეურნეობის ყველა პირობები. ტეხნიკური წარმოების, საერთოდ მრეწველობის უპირატესობა იმაში არის, რომ იქ წარმოების პირობები პირდაპირ დამორჩილებულნი არიან ადამიანისაგან, წარმოების პირობების შეცვლა და გარდაქმნა მის ხელთ არის. ადამიანს შეუძლია ისე შეარჩიოს ეს პირობები, ისე შეაზავოს, როგორც ეს საჭირო არის მეურნეობისათვის, წარმოებისათვის. სულ სხვა მდგომარეობა არის სასოფლო-სამეურნეო მრეწველობაში. სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ასპარეზი უფრო მრავალფეროვანი არის: სოფლის მეურნე მოქმედებს ისეთ პირობებში, რომლებიც უფრო ცვალებადნი არიან, მეურნე უნდა იქნეს აღჭურვილი დიდი ცოდნით, გამოცდილებით, რომ გამოიყენოს ყველა პირობები, სძლიოს ისეთი პირობები, რომლებიც ხელს უშლიან მეურნეობას.

რა თქმა უნდა ტეხნიკურ წარმოებაში საჭირო არის ცოდნა წარმოების პირობებისა, არა ნაკლები ცოდნა თუ არა მეტი საჭიროა სოფლის მეურნეობაში, ვინაიდგან სოფლის მეურნემ თავი უნდა გაირკვიოს იმ მრავალგვარ, მის გარეშე მდებარე პირობებთა შორის, რომლებიც შედეგნი არიან ბუნებისა. არის ხშირათ ისეთი პირობები, რომლების დაძლევა, დამორჩილება ადვილი არ არის.

ბუნებრივი პირობების მეურნეობისათვის გამოყენება შესაძლებელი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც გარკვევით იცის მეურნემ წარმოების შემადგენელი ნაწილები. წარმოების პირობებთა შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს: მიწის ზედაპირს, ნიადაგს, ჰაერს, მცენარეს და მის თვისებებს. მაშასადამე, გარკვევა ყველა ზემოაღნიშნული პირობების, რომლებიც ხელს უწყობენ წარმოებას ან უშლიან მას. მხოლოდ ასეთ პირობებში შესაძლებელი არის მეურნეობის წესიერ ნიადაგზედ დაყენება.

ჩვენმა მეურნეობამ ეს არ იცის, მოკლებული არის ცოდნას იმ პირობებისას, რომლებშიაც იგი მოქმედობს.

სასოფლო-სამეურნეო რაიონების გამოკვლევა, რომელიც ამ ჟამათ იწყება გასცემს ყველა საკითხებს პასუხს, ჩაგვახედებს ჩვენი მეურნეობის გარშემო მდებარე პირობებში, აუხსნის და გაუკვლევს მას სწორ გზას და მისცემს საქართველოს სოფლის მეურნეობას სწორ ხაზს და მიმართულებას.

ამგვარი პირობების გამოკვლევა აუცილებელია ჩვენთვის. თუ საქართველოს სამეურნეო რაიონები არ იქნა გამიჯნული, არ იქნა გამორკვეული ყოვლად შეუძლებელი არის წესიერი მეურნეობის წარმოება. ის, რაც ჩვენ ვიცით საქართველოს სამეურნეო რაიონების შესახებ ძლიერ მცირეა და არ არის დამკვიდრებული მეცნიერული გამოკვლევაზედ; ჩვენი ცოდნა მხოლოდ დაახლოვებით ახასიათებს სამეურნეო რაიონებს.

ჩვენი ცოდნა სამეურნეო რაიონების შესახებ დაახლოვებით შემდეგია. საქართველოს სამეურნეო რაიონები არის: აღმოსავლეთ ან დასავლეთი ნაწილი, ბათუმის ოლქი აღმოსავლეთი ნაწილში ბორჩალოს მაზრაში, თრიალეთის უბანში არის მთავარი დარგები სოფლის მეურნეობისა—ხორბლეულობა და მესაქონლეობა ბორჩალოს მაზრაში: ხორბლეულობა, ბამბის წარმოება და მეცხვარეობა. თბილისის მაზრის აღმოსავლეთ დასავლეთით გავრცელებულია მევენახეობა, მესაქონლეობა და ხორბლეულობის წარმოება.

დასავლეთ საქართველოში გაცილებით უფრო დიდი სხვა და სხვაობა არის ნიადაგის და ჰაერის... დასავლეთ საქართველოში ისეთი თვისებები აქვს ნიადაგს და ჰაერს, რომლებიც უახლოვებს ამ ნაწილს რესპუბლიკისას იმ ადგილებს, რომლებიც ტროპიკებს ქვეშ არის. აქ შესაძლებელი არის ისეთივე მეურნეობის წარმოება, რომელიც მოწყობილია ტროპიკებს ქვეშ. ზღვის ნაპირიდან 3500 ფუტზედ ზევით დასავლეთ საქართველოში არის ხორბლეულობის წარმოება. უფრო მაღლობ ადგილებზედ კი იშლება საძოვრები, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესაქონლეობისათვის.

ბათუმის ოლქიც დიდ სხვა და სხვაობას წარმოადგენს მეურნეობისათვის. შავი ზღვის ნაპირები, სადგური ქობულეთიდან ოსმალეთის საზღვრამდე და ჭოროხის მდინარიდან მდინარე აჭარის წყლამდე, იმავე თვისებისა არის, როგორც ტროპიკების ქვეშ მდებარე მიდამოები.

ართვინის რაიონი 25 ვერსის მანძილზედ პირდაპირ ზღვამდე—მშრალი ჰაერია. აქ შესაძლოა ზეთისხილის წარმოება, მევენახეობა. არდანუჯის რაიონი არის მოწყობილი თამბაქოს წარმოებისათვის.

ზემო აჭარა საუკეთესო საძოვარ ადგილებს შეიცავს.

სოხუმის ოლქი საუკეთესო რაიონია, სადაც ხეირობს მცენარეები და კულტურა, რომელიც ეხერხება ტროპიკებს და ტროპიკებს ქვეშ მდებარე ადგილებს.

ზემო აღნიშნული დანაწილება საქართველოს სამეურნეო რაიონებათ ძლიერ ზოგადია.

აღნიშნული დანაწილება არის დამყარებული გამოცდილებაზედ, იმ მეურნეობაზედ, რომელიც უკვე მოწყობილია. მაგრამ თანამედროვე მოთხოვნილება წესიერი მეურნეობის ვერ მიიღებს ზოგად დახასიათებას და დანაწილებას, ვინაიდგან ის არ არის მეცნიერულათ გამოკვლეული.

ჩვენ, მაგალითად არ ვიცით, სად თავდება ერთი რაიონი და იწყება მეორე, ჩვენ არ გვაქვს დახასიათება, დანაწილება თითეული რაიონის სამეურნეო ზოლებად. არ არის გამოკვლეული რა და რა შესაძლებლობა აქვს თითეულ რაიონებს და მის შემადგენელ ზოლებს. ჩვენი დანაწილება საქართველოს სამეურნეო რაიონებათ არის დამყარებული მეურნეობის ჩვეულებრივ წესებზედ, ესე იგი მეურნეობის დარგების წარმოებაზედ თითეულ რაიონში, რომელიც ისტორიულად მიმდინარეობს.

არსებული წესი მეურნეობის, ჩვეულებრივი წესები და ხასიათი მეურნეობის არ არის ისეთი საბუთი, რომელზედაც შეიძლებოდეს სავსებით დამყარება. მეურნეობა დღევანდელ პირობებში მოითხოვს წინდაწინ გათვალისწინებას ყველა იმ შესაძლებლობის, რომელიც თითეულ რაიონს თან დასდევს და რომელიც სათანადოთ უნდა იქნეს გამოყენებული სამეურნეო მიზნების მისაღწევად.

იყო ერთი ცდა ცნობილი აგრონომი ვ. ვინერის მიერ საქართველოს სამეურნეო რაიონებათ დაყოფის. ვ. ვინერი შეეცადა 1908 წ. რუსეთის სამეურნეო რაიონებათ დაყოფას, ამ დაყოფაში ამიერ-კავკასია და საქართველოც მოექცა. ვ. ვინერის ცდამ ნაყოფი ვერ მოიტანა და საქმე დაუმთავრებელი დარჩა.

სამეურნეო რაიონებათ დაყოფას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის, ვინაიდგან სამეურნეო რაიონების გამორკვევა, მისი ფარგლების აღნიშვნა იძლევა საშუალებას მეურნეობის წესიერათ წარმოების. მეურნეობა დგება კანონიერ ფარგლებში. აზრიულ, თავაღებულ მეურნეობას მიეცემა სწორი ხაზი და სწორი მიმართულება.

დღეს წარმოებს მეურნეობა ძველი წესების და ჩვეულებების მიხედვით, სოფლის მეურნეობა აწარმოებს იმ დარგებს მეურნეობისას, რომლებსაც მისი წინაპარნი მისდევდენ. არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მეურნეობა ჩვეულებრივ დარგს მეურნეობისას თავს ანებებს და გადადის სხვა დარგის წარმოებაზედ. ასე იყო საქართველოში მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, დაახლოებით 1908 წ მიყვენ ბამბის წარმოებას.საერთაშორისო ბაზარზედ გაიზარდა ბამბის მოთხოვნილება, ბამბა გაძვირდა და ამ დარგის მეურნეობის წარმოებას ქონდა საკმაო ეკონომიური მნიშვნელობა.

მომავალში, სულ ახლო მომავალში სოფლის მეურნეობა საქართველოში აუცილებლათ განიცდის უკიდურეს ზედამხედველობას და ხელმძღვანელობას სახელმწიფოსას. როდესაც ჩვენ გამოვარკვევთ სასოფლო-სამეურნეო რაიონებს, გავითვალისწინებთ თითეულ რაიონის აგრონომიულ შესაძლებლობას, ესე იგი რაიონების მიხედვით გვეცოდინება სად და რაგვარი დარგი მეურნეობისა შესაძლებელი არის, მაშინ აუცილებლად უნდა მოხდეს მეურნეობის გაუმჯობესება. აქ არ შეუდგებით დაწვრილებით კვლევა-ძიებას, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ძლიერ საყურადღებო მოვლენას, რომელიც ფეხს იდგამდა საქართველოს მეურნეობაში ომიანობამდე. როგორც ყველამ უწყის საქართველო დიდ სივიწროვეს მიწისას განიცდის, უმთავრესათ დასავლეთ საქართველოში. მიწის სივიწროვე არის პირდაპირი შედეგი მეურნეობის სისუსტის, მისი დაქვეითების, მიწა გაცილებით ნაკლებს იძლევა, ვიდრე მას შეუძლია. ომიანობამდე ამ უბედურებას ბევრი არავინ უგდებდა ყურს. სოფლის მეურნეობამ გამოსძებნა ახალი გზები იმ ცვლილებების მიხედვით, რომელიც ირკვევოდა რუსეთის და საერთაშორისო ბაზარზე. ნელნელა მეურნეობა თავს ანებებდა ხორბლეულობის საზარალო წარმოებას და გადადიოდა მაღალ კულტურის წარმოებაზე, ეკონომიურმა ინტერესებმა უკარნახეს მეურნეს: თამბაქოს, ბამბის, ჩაის წარმოება. ანგარიში სწორი იყო: თამბაქო, ბამბა, ჩაი წვრილ ნაკვეთებზე იძლეოდა მეტ მოგებას, ვიდრე ხორბლეულობის წარმოება. ასე იყო კახეთში—თამბაქოს წარმოება, დასავლეთ საქართველოში—ჩაის, ბამბის წარმოება, აფხაზეთში სიმინდის წარმოებამ ძლიერ შეავიწროვა თამბაქოს წარმოება. ომიანობამ ეს გადაჯგუფება შეაჩერა. გადაჯგუფება ბუნებრივად ხდებოდა: შეიცვალა ბაზრის პირობები, გაიზარდა მოთხოვნილება თამბაქოს, ბამბის, ეკონომიური ღირსება ამ ახალი დარგების უფრო დიდი იყო, ვიდრე ხორბლეულობის წარმოების, მეურნეობა მას მიყვა. მომავალში, როდესაც ჩვენ გვეცოდინება ჩვენი რაიონების ღირსება, ღირებულება—მეურნეობაც იქნება შეფარდებული. ანარქიული სოფლის მეურნეობა უნდა აილაგმოს,

ჩვენ ეხლაც ვიცით, რომ დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილებში, რომლებიც შავი ზღვის ნაპირებთან ახლო არის, შეიძლება უმაღლესი ტროპიკებში ჩვეული კულტურის წარმოება, მაშასადამე არსებული წესები და ადათი მეურნეობის უნდა გადაკეთდეს. ჩვენში სრულიად შესაძლებელი არის ძვირფასი და უსაჭიროესი სამკურნალო მცენარეების წარმოება. ამ მცენარეებს დიდი მოთხოვნილება აქვს, დიდი ბაზარი აქვს. რა თქმა უნდა მეურნეობისათვის სრული მისაღებია ასეთი ახალი გზა, რომელიც მეურნეს მეტს მოსავალს და შემოსავალს მისცემს, ვიდრე მას დღეს აქვს.

სასოფლო-სამეურნეო რაიონების გამოკვლევა, გამოყოფა გადაგვიშლის სურათს მთელი სამეურნეო ასპარეზისას და იმის მიხედვით შესაძლებელი იქნება მთელი მეურნეობის ახალ მეცნიერულ ნიადაგზე მოწყობა.

მხოლოდ სამეურნეო რაიონების გამოყოფა არ არის საკმაო, მას თან უნდა მოყვეს მეორე დიდი საქმე არსებითად შესწავლა სად და რაგვარი დარგი მეურნეობისა მართლა შესაძლებელი არის. ამისათვის საჭირო იქნება საცდელი სადგურების და მინდვრების მოწყობა. საცდელი საქმის მოგვარებას კი აუცილებლათ სჭირდება წინასწარი გამოკვლევა. ამ გამოკვლევას ისახავს საქართველოს სტატისტიკური სამართველო, რომელიც იწყებს სამეურნეო რაიონების შესწავლას.

საქმე ძლიერ დიდია, საქმე ძლიერ საჭიროა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სპეციალისტები სხვადასხვა დარგებში არ დაზოგავენ არც შრომას, არც თავის ცოდნას და მიიღებენ დიდ მონაწილეობას. მართალია, ყველა დატვირთული არის, ცოტანი არიან სპეციალისტები, მაგრამ არც ისე ღარიბნი ვართ, როგორც ეს შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს. საჭიროა შეგნება დიდი საქმის დასაწყისის, ეს ყველასათვის ცხადია, ყველა კარგათ გრძნობს რამდენათ ცუდათ ვიცნობთ ჩვენს ქვეყანას. ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობისაგან უკვე ისახება, უკიდურესი დახმარება და თანამშრომლობა—აი მარტივი და სავალდებულო დებულება.

ხ. აგალიანი.

# დამშეულთა სასარგებლოდ. [illegible] ხელი შეუწყვეთ ამ საქვეყნო საქმეს.

# საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

## საქართველოს წითელი ლაშქარი

### ამხ. შ. ელიავას მოხსენება

(დასასრული. იხ. „კომ." № 66).

ამხანაგებო, ამნაირი არის ფაქტიური სურათი საერთოდ ჩვენი ჯარების და მათი სამხეო ორგანიზაციების მდგომარეობისა. გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენ ჯერ არ გვყავს ყავსებით გაწვრთნილი ლაშქარი, რომელსაც შეეძლოს მანევრები მოახდინოს და ფართე ბრძოლები აწარმოოს.

მაგრამ მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული გარემოება, რომ ის დარჩენი მენშევიკური არმიისა, რომელიც გასული წლის მარტში პოლიტიკური მოსაზრებით დატოვებულ იქმნა წითელ ლაშქარში, ეს ელემენტები სულიერად დაცემული იყვნენ, ისინი დამარცხების ნიადაგზე ფსიქოლოგიურ დეზორგანიზაციას განიცდიდენ. ამავე დროს სოფლიდან ჩამოსულებშიც გვერია ისეთი პირებიც, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციოდენ და სრულიად გაუნათლებელი იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ყოველთვის ითვლებოდა განათლებულ მხარეთ რუსეთის დარჩენ ნაწილებთან შედარებით, მიუხედავად ამისა ჩვენ ჯარში ძალიან ბევრი გაუნათლებელი და წერა-კითხვის უცოდინარი იყო და არის. გარეგნულად თითქოს დიდ კულტურულ მუშაობას ეწეოდა მენშევიკური მთავრობა სოფლათ, მაგრამ ჯარში გაწვეული ახალგაზრდობა მაინც გაუნათლებელი იყო. მე მინახავს ისეთი წითელ არმიელი, რომელმაც არ იცის რომელ მაზრიდან არის. როცა მაგალითად, შეეკითხებით გიპასუხებს: მე ბატონო ვარ ბელიკლუჩის უეზდიდან.

[illegible]

მდეგ, თვით დახვრეტაც კი, რომ არ გაიქცეს ჯარის-კაცი სახლში და რომ არ მიატოვოს თავისი მოვალეობა სამშობლოს საზღვრების დაცვის საქმეში.

ამხანაგებო, დღეს საქართველო ისეთ პოლიტიკურ პირობებში იმყოფება, ისეთ მდგომარეობაშია საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, რომ მას არ შეუძლიან არ ჰყავდეს პატარა, მაგრამ ძლიერი ლაშქარი. დღეს საქართველოს ირგვლივ ევროპაში გამეფებულია დიდი კამათი. აქედან განდევნილი მენშევიკები—ყოფილი მთავრობის წევრები—ყოველგვარ საშვალებას მიმართავენ, ისინი ჰკრავენ კავშირს რეაქციონურ ელემენტებთან, საფრანგეთთან, ინგლისთან და ყველასთან, ვისაც რაიმე ეკონომიური ინტერესი აქვს ამიერ-კავკასიაში, და ლამობენ ძალით საბჭოთა ხელისუფლების გაუქმებას საქართველოში. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქართული ლაშქრის მოწყობის საკითხს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ადგილობრივი ორგანოები და ამხანაგები დღემდე არ ეწეოდენ საჭირო მუშაობას ამ საქმის მოსაგვარებლად. ჯარიდან ძალიან ხშირად გარბოდნენ, ხშირი იყო დეზერტირობა, და როდესაც გაქცეული ჯარის კაცები მიდიოდნენ, ადგილობრივ ორგანოებში მათ სამსახურს აძლევდნენ. ჩვენი ხალხი იმდენად გაუწვრთნელი არის, რომ მას არა აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ ჯარის მოწყობის საქმე სათანადო სიმაღლეზე დადგეს, ამი-

[illegible]

განათლების კომისარიატი და სხვანი უნდა ცდილობდნენ, რომ მოაწყონ ისეთი საპროპაგანდო ორგანოები, რომლითაც ხალხს შეაგნებინებენ ჯარის მოწყობის აუცილებლობას. მე მგონია ამის საშუალებით ჩვენ შევძლებთ მოვაწყოთ მოძრავი, კარგად მომზადებული პოლიტიკურად გაწვრთნილი დისციპლინიანი ლაშქარი, რომელიც დარაჯად ედგება ჩვენს რესპუბლიკას. გარეშე ამისა ყოვლად შეუძლებელია ჩვენი სახელმწიფოს არსებობის განმტკიცებაზე და პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ჩხეიძე, ჟორდანია და წერეთელი სთხოვენ სოციალისტურ პარტიებს, ევროპის ბურჟუაზიულ პარტიებს, პუანკარეს და ლოიდ-ჯორჯს, რომ მათ აიძულონ რუსეთი და მოსთხოვონ რუსეთს, რომ გაიყვანონ აქედან წითელი ლაშქარი, რომ განიარაღებულ იქნას საქართველო და ამრიგათ მოსპობილ იქნას საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობა, თქვენთვის ცხადი იქნება, რომ საქართველო ახალ სამოქალაქო ბრძოლის ასპარეზად გადაიქცევა, გაჩაღდება სასტიკი სამოქალაქო ბრძოლა შიგნით და მეზობელ რესპუბლიკებთან.

საქართველო კი ისეთი ნაწილი არის ამიერ-კავკასიისა, რომლის განიარაღება მთელი ამიერკავკასიის განიარაღებას ნიშნავს. საქართველო არა მარტო საქართველოს მუშების და გლეხების ბედიღბალის გადამწყვეტია, არამედ იგი არის მთელი ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების ბედიღბლის გადამწყვეტი, პირველი თავდასხმა, თუკი შეიწყნარებენ, მენშევიკების მუდარას ევროპის იმპერიალისტები, ეს პირველი თავდასხმა საქართველოზე იქნება და მხოლოდ შემდეგ ამიერ-კავკასიაზე, ის დიდი პოლიტიკური პროგრამმა, რომელსაც ისახავენ მენშევიკები და მუსავატისტები, და ეს ბრძოლი, ბრძოლა, რომელიც სწარმოებს საქართველოს და ამიერ კავკასიის ირგვლივ, ეს განსაკუთრებული პირობები გვავალებენ, რომ უდიდესი ყურადღება მ:ვაქციოთ საქართველოში ჯარის მოწყობის საქმეს.

სანამ ჩვენი საკუთარი ჯარი არ შექმნილა და იგი მტკიცე ნიადაგზე არ დამდგარა, მანამ რუსეთის არმიის გაყვანა საქართველოდან შეუძლებელი არის და ვინც მოითხოვს მის გაყვანას ის მტერი არის მუშების და გლეხებისა. (ტაში).

ჩვენთვის საჭიროა, რომ გამოვიყენოთ ის გამოცდილება, რომელიც აქვს რუსეთის არმიას და ისეთივე ნიადაგზე ავაშენოთ ჩვენი ლაშქარი, ღირსეული ლაშქარი დიადი იდეების დასაცავათ, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით. ტყუილია, ამხანაგებო, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არსებობდეს, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუ ამ სახელმწიფოს თავისი არსებობისა და დამოუკიდებლობის შესარჩენად და დასაცავად არ ეყოლება თავისივე შეიარაღებული ძალა. მართალია რუსეთის მუშებისაგან და გლეხებისაგან შემდგარი წითელი არმია ეს ნამდვილი ჩვენი ძმებია, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთის გლეხები და მუშები არ არიან ვალდებულნი, რომ ყოველთვის დარაჯათ უდგნენ სხვა ერებს. საჭიროა საქართველომ თავისი საშოდან წარმოშვას ისეთი შეიარაღებული ძალა, რომელსაც შეეძლება თავისი სამშობლოს საზღვრების დაცვა. საქართველოს ხალხი, ჯერ-ჯერობით მიჩვეულია, რომ სხვისი ძალღონით უზრუნველჰყოს თავის თავის დაცვა. საჭიროა, დადგა დრო, რომ საქართველოს ხალხმა თვითონ დაიცვას თავის თავი.

მე, ამხანაგებო, არ გავაგრძელებ ბაასს ამ საკითხზე, მე მგონია, რომ ჩვენს ამხანაგებს ესმის დღევანდელი მდგომარეობა. თქვენ გაგიკეთეს აქ მოხსენება ჩვენ შინაურ მდგომარეობაზე, ჩვენს საგარეო მდგომარეობაზე და თქვენ მიიღეთ მოწოდება ყველა ხალხების მიმართ. თუ გაითვალისწინებთ იმ მოხსენებათა შინაარს და იმ მოწოდებას, აშკარა იქნება, თუ რა არის დღეს ჩვენთვის საჭირო. საჭიროა ყურადღება მიექცეს ჯარის აშენების საქმეს, საჭიროა უზრუნველვყოთ ჯარის მეთაურები, მათი ოჯახები, უზრუნველვყოთ თვით ჯარის კაცები, საჭიროა მათ ოჯახებს ადგილობრივმა ორგანოებმა გაუწიონ ყოველგვარი დახმარება, რომ მათ არ განიცადონ სიმშილი და გასაჭირი და არ მიეცესთ ჯარის კაცებს საშუალება და საბაბი შინ გაქცევისა. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენმა სახელმწიფო ორგანოებმა თავისი ყურადღება შეაჩერონ ამ დიდ საკითხზე და უზრუნველყონ ჯარის ნაწილები ბინით, სურსათის მიწოდებით, ჩაცმა-დახურვით და სხ. წინადადებას ვიძლევი, რომ ყრილობამ დაავალოს პრეზიდიუმს მიმართონ საქართველოს მუშებსა და გლეხებს შემდეგი მოწოდებით:

საქართველოს მუშებო და გლეხებო!

ამ ერთის წლის წინეთ ჩვენ დავამხვეთ ნაციონალისტ-მენშევიკების პარტიის ბატონობა. ჩვენ დავამყარეთ საბჭოთა ხელისუფლება და მოვიპოვეთ ჩვენი რესპუბლიკის ნამდვილი დამოუკიდებლობა ევროპის ბურჟუაზიისაგან. ჩვენ შეუდექით მშვიდობიან მუშაობას ჩვენი სახელმწიფოს და მეურნეობის მოსაწყობად.

მაგრამ ჩვენი მტრები არ ისვენებენ. საქართველოს საზღვრებიდან გაძევებული მენშევიკები—საქართველოს გუშინდელი პატრონები—განაგრძობენ საქართველოს „ისტორიის კეთებას" თავიანთ ბატონების—ევროპის ბურჟუაზიული რეაქციის მინისტრების დერეფნებში. დახეტიალობენ ერთი ქვეყნიდან მეორეში და ამუშავებენ მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალის სოციალისტურ პარტიების საზოგადოებრივ აზრს საქართველოში დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ისინი, თავიანთ ძმებთან ერთად,—მათსავით გაძევებულ მუსავატისტებსა და დაშნაკელებთან ერთად,—ჰპირდებიან დახმარებას ევროპის კაპიტალს ამიერ-კავკასიის დაპყრობის საქმეში.

ისინი იწვევენ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის კაპიტალისტებს ნავთისა და მარგანეცის ხელში ჩასაგდებად.

ისინი აპირებენ—პირველად ამიერ-კავკასიის შემოსასვლელ კარებს საბჭოთა საქართველოს—დაეცნენ. შავყვითელი კავშირი ქართველ მენშევიკების, მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალის სოციალისტ გამცემლების, პუანკარეს და ლოიდ-ჯორჯის—მოითხოვს საქართველოს განიარაღებას და მისი საზღვრებიდან რუსეთის წითელი არმიის ნაწილების გაყვანას. ამ თავისი ხალხის წინააღმდეგ შეთქმულებმა ძალიან კარგად იციან, რომ განიარაღებული საქართველო წარმოადგენს მშვენიერ ასპარეზს ახალი ომისა და აუცილებელს სამოქალაქო ბრძოლისათვის.

ამ შემთხვევაში დაიწყებას მიეცემოდა ჩვენი საზღვრების ხელშეუხლებლობა, დადგებოდა აუცილებელი ალსასრული ჩვენი დამოუკიდებლობისა და მაშასადამე ალსასრული მშვიდობიანი აშენებლობისა და შემდეგ დაიწყებოდა ბრძოლა საბჭოთა ადერბეიჯანისა და სომხეთის წინააღმდეგ.

საქართველოს მუშებო და გლეხებო!

ჩვენ პასუხისმგებლები ვართ არა მარტო ჩვენი ბედისა, არამედ მთელი საბჭოთა ამიერ-კავკასიისა და განა შეგვიძლია დავთანხმდეთ რომ საქართველო განიარაღდეს?

ამიერ კავკასიის და ევროპის რეაქციის კავშირს, რომელსაც მეთაურობს ჟორდანია, წერეთელი, პუანკარე და ლოიდ-ჯორჯი ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ მჭიდრო და განუყრელი სამხედრო კავშირი ძმურ საბჭოთა რესპუბლიკებთან და პირველ ყოვლისა საბჭოთა რუსეთთან.

ჩვენი მტრების გეგმებს უნდა დაუპირდაპიროთ მტკიცე და ურყევი ნებისყოფა ბოლომდე ბრძოლისა, იმ დრომდე, ვიდრე ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს არ უზრუნველვყოფთ გარეშე საფრთხისაგან, ვიდრე ჩვენი ქვეყნის შინაური შემოქმედებითი მუშაობისთვის არ შეიქნება ნორმალური პირობანი.

ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ, რომ საქართველოდან იქნეს გაყვანილი რუსეთის წითელი არმიის ნაწილები,—ეს ყავარჯენი ჩვენი უშიშრობისა. წითელი არმიის მეომრები—რუსი მუშები და გლეხები—თავდადებით იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ხელშეუხლებლობისათვის.

და ამის შემდეგაც, სულით და ხორცით ნათესავნი, ისინი გმირულად იბრძოლებენ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც დაემუქრება ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენს ხელისუფლებას. და ჩვენ დაჟინებით ვთხოვთ ძმურ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას არ გაიყვანოს ჩვენი საზღვრებიდან—წითელი არმია.

მუშათა და გლეხთა დიქტატურის დაცვას ევროპის იმპერიალიზმის თავდასხმისგან ჩვენ შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვეყოლება წითელი არმია. მხოლოდ მის მფარველობის ქვეშ შეგვიძლია დავამყაროთ ჩვენი მეურნეობის შენება და მოვაწყოთ ჩვენი დიდებული საქმის ღირს-შესაფერი საერთაშორისო წითელი არმიის შეიარაღებული რაზმი—ქართველი მუშებისა და გლეხებისაგან.

საძირკველი ქართველი წითელ ლაშქრისა უკვე ჩაყრილია, გვაქვს მოწყობილი შეერთებული სამხედრო ერთეული.

მისი გამაგრება და განვითარება—აი ძირითადი და უახლოესი ამოცანა საბჭოთა ხელისუფლებისა საქართველოში.

არ უნდა დაყოვნდეს ახალგაზრდათა ჯარში გაწვევა და არ უნდა იყოს ისეთი მუშა და გლეხი, რომელიც გაექცევა სოციალისტურ სამშობლოს დაცვის საქმეს. ჩვენი ქვეყნის მთავარი ყურადღება უნდა მიეპყრას წითელი ჯარის საკომანდო შემადგენლობისათვის მუშებისა და გლეხების მომზადებას.

საქართველოს საბჭოთა ყრილობა უბრძანებს ხელისუფლების ყველა ორგანოებს, ცენტრში და ადგილებზე, თავის მუშაობის პირველ საგნად გაიხადონ ქართულ წითელ ჯარზე ზრუნვა. პირველ რიგში, დააკმაყოფილონ ჯარის საჭიროებანი, უზრუნველ ჰყონ შესაფერი ბინებით, სურსათით და სხვა მარაგით.

ჯარის პოლიტიკური აღზრდა უნდა იქნეს შესაფერის სიმაღლეზე აყვანილი.

საქართველოს მუშებო და გლეხებო!

თქვენ გაფაციცებით უნდა ადევნოთ თვალყური, რომ მუშათა და გლეხთა დიქტატურის ორგანოებმა დამრტყმელი წესით დააკმაყოფილონ ქართული წითელი ჯარის საჭიროებანი.

სულ მოკლე ხანში ქართული წითელი ჯარი უნდა გადიქცეს ბრძოლის უნარიან (სამანევრო) სამოქმედო ძალად.

ჩვენ გამოვიყენებთ რუსეთის წითელი ჯარის აღმშენებლობის და ბრძოლის უმდიდრეს გამოცდილებას და მის მგზავსად შევქმნით ჯარს ქართველი მუშებისა და გლეხებისაგან.

ეს საქართველოს მუშათა და გლეხთა ჯარი, ერთი რაზმთაგანი საერთაშორისო წითელი არმიისა, თავის უფროს ძმებთან ერთად გაინაწილებს სამსახურის სიმძიმეს მრავალ რიცხოვან მტრისაგან დასაცავად საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობისა, საბჭოთა საქართველოსი, რომელიც მჭიდროდ არის შეკავშირებული დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთან მშრომელთა ერთ რევოლიუციონურ ოჯახში.

გაუმარჯოს საერთაშორისო წითელ არმიას და მის მედგარ რაზმს საქართველოს მუშათა და გლეხთაგან! (ტაში).

**საბავშვო წარმოდგენები.**

რუსთაველის თეატრში და პატარა თეატრში ქართული და რუსული დრამის მსახიობებს განზრახული აქვთ დადგან მთელი რიგი საბავშვო წარმოდგენებისა რუსეთის და უცხოეთის კლასიკების ნაწარმოებიდან და აგრეთვე ზღაპრები და ფეერიები. წარმოდგენები დაიდგმება კვირა დღეებში. ფასები საბავშვო წარმოდგენებზე გაიაფებული იქნება.

**დღეს თეატრებში.**

**სახელმწიფო ოპერა.**—ვერტერი.

**რუსთველის თეატრი.**—პირველად იდეალური ქმარი, ბუდკევიჩის და პეტიპას მონაწილეობით.

**პატარა თეატრი.**—ქართული წარმოდგენა.

**რევ. მხატვრული თეატრი.**—მსახიობ დემენტიევის საღამო—პირველად „ტურანდოტი, ჩინეთის პრინცესსა".

**საკამერო თეატრი.**—სომხური წარმოდგენა.

**სახალხო სახლი.**—საღამო—წარმოდგენა—მტაცებელი.

**მუშათა ცენტრ. კლუბი.**—უკრაინული წარმოდგენა.

**მუშათა ცენტრ. კლუბის ახალი თეატრი.**—კინო საქართველოს წითელი ლაშქრის ცენტ. კლუბი—სომხური წარმოდგენა.

**კონსერვატორია.**—კონცერტი.

# ქრონიკა

✦ **წარმოდგენა სახალხო სახლში** სამშაბათს 28 მარტს, სახალხო სახლში პოლიტიკურ განათლების ქართულ დრამატიულ დასის მიერ, მეორეთ ამ სეზონში, წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა 4 მოქ. ა. ცაგარლისა „ქართველი დედა". მონაწილეობს მთელი დასი.

✦ **ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოება.** ამით ეცნობება ყველა ამხანაგებს, რომ ყოფ. პოლიტიკურ გადასახლებულთა და კატორღელთა საზოგადოების საქმეების შესახებ უნდა მიმართონ საზოგადოების მდივანს ამხ. რუხაძეს (ქალაქის სტატისტ. განყოფილება, შტაბის ქ. № 2, მე-3 სართული) დილის 9 საათიდან 12 საათამდე. **საზოგადოების საბჭო.**

✦ რედაქციამ მიიღო **„ძერწვა"** დასურათებული სახელმძღვანელო აღმზრდელთათვის, შედგენილი მასწ. ტ. ნიკოლაიშვილის მიერ. სახელმძღვანელო განხილული და მოწონებულია გან. კომისარიატთან არსებულ სასწ. კომ. მიერ, როგორც ახალი ცდა და წყარო ძერწვის სწავლების საქმეში წინა გამოცემულია სუფთად, კარგ ქაღალდზედ სახელმწიფო გამომცემლობისაგან, სადაც შეიძლება მისი შეძენა მეტად იაფ ფასებში.

✦ **საბჭოთა სახლების მმართველობა.** ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით საბჭოთა სახლების მმართველობა შეუერთდა კომუნალურ მეურნეობის საბინაო სექციას.

✦ **№ აღმოსავლეთ მსროლელ ბრიგადის კლუბი.** ქალაქის აღმასკომმა გასცა აღმოსავლეთის 8 მსროლელ ბრიგადის კლუბის მოსაწყობად ათი მილიონი მანეთი.

✦ **ბოსტნეულობის კამპანია.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა მისცა დაუბრუნებლად ბოსტნეულობის კამპანიის ჩასატარებლად ცალკე კავკასიის ლაშქრის სამოსწავლო საკადრო პოლკს 5 მილიონი მანეთი.

✦ **კომუნალური სამსახური.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი კომუნალურ სამსახურისთვის მუშებიდან და მოსამსახურეებიდან გადასახადის აღების წესი და დაადგინა: სახელმწიფო წარმოების და დაწესებულებების მუშებსა და მოსამსახურეებს გადაახდევინონ სხვა მოქალაქეებთან თანასწორ საფუძველზე. წყალსადენის ანგარიშით გადასახადი უნდა აკრეფილ იქნას ამა წლის 1 იანვრიდან ელექტრონის კი 1 მარტიდან, ამასთანავე ნაჩვენებ კატეგორიის მუშებმა და მოსამსახურეებმა წყალსადენის ანგარიშის გასასწორებლად უნდა მიიღონ იანვარში და თებერვალში არსებულ ჯამაგირებზე დამატებით 50 ათასი მანეთი თვეში და პირველი მარტიდან წყალსადენის და ელექტრონის ხარჯების გასასწორებლად ერთად 200,000 მანეთი თვიურად. რომ დაბრკოლება არ მოხდეს კომუნალური სამსახურისთვის ხარჯების გასწორებაში და ამ ნიადაგზე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წარმოების და დაწესებულების ადმინისტრაციებმა დაუყონებლივ უნდა დაუმატონ ჯამაგირზე ნაჩვენები ჯამი მუშებსა და მოსამსახურეებს იანვრის, თებერვლის და მარტის თვეებზე. ასეთივე წესი ვრცელდება კომანდირთა შემადგენლობაზე (КОМСОСТАВ, წითელ არმიელებზე, და სამხედრო უწყებების მუშებზე და მოსამსახურეებზე.

# თეატრი და ხელოვნება

**ცენტრალურ ხაინსტრუქტორო ინსტიტუტში.**

26 მარტს ინსტიტუტის ბინაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. შიმკევიჩი შემდეგ თემაზე: „ენა, როგორც შემოქმედება ბავშვების". დასაწყისი საღამოს 7 საათზე. შესვლა თავისუფალია განათლების ყველა მუშაკთათვის.

**რუსთველის თეატრი.**

**ახალი რუსული დრამის კოლექტივი.**

რუსული დრამის კოლექტივის შემოკლების და კაპიტალურ რეორგანიზაციის შემდეგ, ტრუპის შემადგენლობაში შევიდენ: ბარსანოვა, გოლოვინა, დანიჩი, კარელი, სავინა, სმირნოვა, ალექსანდროვა-პოკროვსკისა, პოლიაკოვისა, შულმანი, ჩუდინოვისა, კონსტანტინოვიჩი, ანგილეევა, ბროვცინი, დაგმაროვი, დავიდოვსკი, იზოლდოვი, კაშევსკი, ერმოლოვ-ბოროზდინი, პეტიპა, რობერტი, გრადეცკი, კონსტანტინოვი, დოლსკი და პოკროვსკი. წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს მსახიობი ქალი ბუდკევიჩი. რეპერტუარი განზრახულია კლასიური და რევოლიუციონური.

# პარტიული ცხოვრება

**თბ. ქ. აგიტაცია-პროპაგანდის განთავისუფლების მოქმედება.**

**(თებერვალში).**

თებერვალი - ყრილობების თვედ შეიძლება ჩაითვალოს: თვით პირველ რიცხვებში მთავრდება საქართველოს კ. პ. პირველი ყრილობა, მას მოსდევს პროფკავშირების ყრილობა, შემდეგ—კომუნისტური ორგანიზაციების საოლქო ყრილობა, და თვის ბოლო აღინიშნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობით. საყურადღებო ამბების ეს განუწყვეტელი თანამიმდევნობა ჩვენს ცხოვრებაში, განყოფილების მუშაობას აძლევდა დიდად სწრაფ და ციებ ცხელების ხასიათს. ვერ მოესწრება ერთი საკითხის მონელება მასსებში, რომ თავს ყოფს უკვე მეორე საკითხი. ყველა ამ საკითხებში ზოლივით ტარდება გენუას კონფერენციის და მასთან დაკავშირებით ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი.

პარტია, ამ საკითხების გარდა, იხილავდა ანგარიშებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის პარტიულ ყრილობის შესახებ და იმ საკითხებს რომელნიც იდგნენ ამ ყრილობებზე: საკითხები ფედერაციის, ნაციონალური, საორგანიზაციო და სხვა. რა გააკეთა აგიტაცია პროპაგანდის განყოფილებამ კონკრეტულად თებერვლის განმავლობაში? დავაკვირდეთ დაახლოვებით, თუ როგორ მიმდინარეობდა სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა რაიონებში.

**1 ლი რაიონი:** შესდგა 18 კრება წარმოებებში და მიტინგები, დაესწრო 5,000 კაცი. ხშირად ირჩეოდა საკითხები საერთაშორისო მდგომარეობის და მუშათა მოძრაობისა.

**მე 2-ე რაიონი.** შესდგა 60 კრება, დაესწრო 22,560 მუშა. რაიონს ყველაზე უფრო აინტერესებს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა (გენუას კონფერენცია, საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა, მიმდინარე მომენტი, და პროფმოძრაობის საკითხები.

**მე-3-ე რაიონი.** როგორც ყოველთვის, მე 3 რაიონში, უკეთესად, ვინემ დანარჩენებში, მიმდინარეობს საagიტაციო მუშაობა. კრებები იმართებოდა შემდეგ თემებზე: გენუას კონფერენცია და საბჭოთა ფედერაცია (26 კრება), მოხსენება საქართველოს საბჭოთა 1-ლი ყრილობის შესახებ (7 კრება). მოხსენება პროფ-

კავშირების მე-2 ყრილობის შესახებ და შტატების შემცირების საკითხი (3), წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია (10 კრება) და კომინტერნის ახალი ტაქტიკის საკითხი (2 კრება). სულ რაიონში შესდგა 88 კრება და დაესწრო 9,480 კაცი.

**მე 4-ე რაიონი.** როგორც ყოველთვის, მე-4 რაიონი სხვა დანარჩენებიან შედარებით უკან ჩამორჩენილია; სულ შესდგა 43 კრება, დაესწრო 5,566 კაცი. ამ რაიონის მსხვილ წარმოებებიდან უფრო ხშირად ხდება კრებები ცეცხლის მქრობელთა რაზმში და ბოლო დროს ბოზარდჟიანცის ფაბრიკაში. რაიონში წარმოების კრებებში კეთდებოდა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: გენუას კონფერენცია დ საბჭოთა ფედერაცია, რუსეთის საბჭოების 1-ლი ყრილობა დ საქართველოს საბჭოების 1-ლი ყრილობა მოხსენება საქართველოს პროფკავშირების მე 2 ყრილობის შესახებ, საფინანსო პოლიტიკა და სხვა პროფესიულ—სამეურნეო საკითხები.

ამგვარად, ამ თვის განმავლობაში რაიონულ კომიტეტების ძალებით და აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მიერ ჩატარებულ იქნა 209 კრება, რომლებსაც დაესწრო 42,606 კაცი.

### სააგიტაციო მუშაობა.

განყოფილებამ მოაწყო მთელ ქალაქში ფართე მიტინგები ტემაზე: „გენუას კონფერენცია და საბჭოთა ფედერაცია", განყოფილება სისტემატიურად აგზავნიდა მომხსენებლებს რაიონებში ყველა მსხვილ წარმოებებზე, განყოფილებამ ჩაატარა მოხსენებები საქართველოს საბჭოთა ყრილობის მოწვევაზე.

განყოფილებამ ვერ შესძლო სათანადოდ პარტიის ფართე მასსის მსჯელობის საგნად გაეხადა საქართველოს და ამიერ-კავკასიის პარტიულ ყრილობის საკითხები, ვინაიდან ხშირი ხელ-ახალი ყრილობები ხელს უშლიდნენ გეგმა-შეწონილ მუშაობას.

### საპროპაგანდო მუშაობა.

გამომუშავებულია აგიტატორებისათვის თეზისები საკითხებზე: საბჭოთა ფედერაციის მოწვევა გენუას კონფერენციაზე და საქართველოს გასაბჭოების წლის თავი. განყოფილების მთავარ საპროპაგანდო მუშაობას შეადგენს წინანდებურად სასკოლო მუშაობა.

ამ თვეში მეცადინეობდა ქალაქში 5 რაიონული პარტიული სკოლა ყოველ დღიურად, შაბათ-კვირის გარდა. პირველი რაიონის სკოლამ (ქართ. ენაზე) მოისმინა ლექციების შემდეგი ციკლი პროგრამით: პირველყოფილ საზოგადოებიდან კომუნიზმისაკენ—15 ლექცია, საბჭოთა კონფერენცია—2 ლექცია.

მესამე რაიონის სკოლამ—ესევე და კიდევ ორი ლექცია წარმოების ორგანიზაციის საკითხის შესახებ და დასაწყისში, 2 ლექცია მსოფლიოს აგებულებაზე.

2 და 4 რაიონების გაერთიანებულმა სკოლამ თითქმის დაამთავრა ამ თვის განმავლობაში თავის მეცადინეობა პროგრამის მიხედვით. იკითხებოდა: საბჭოთა კონსტიტუცია—2 ლექცია, სასოფლო მეურნეობა დ კოოპერაცია 4 ლექცია წარმოების ორგანიზაცია—2 ლექცია, სოციალური დაზღვევა და სახალხო ჯანმრთელობა—2 ლექცია. ეკლესია, სკოლა და სახელმწიფო—3 ლექცია.

მე-5, რაიონიდან—ორთაჭალის ქვერაიონის სკოლამ (მუსლიმანურ ენაზე) დაამთავრა „სამეურნეო ყოფა ცხოვრების ისტორია", საბჭოთა კონსტიტუცია, წარმოების ორგანიზაცია და რევოლიუციის ისტორია დასავლეთში.

მესამე რაიონის მოთხოვნით, აგიტაცია პროპაგანდის განყოფილებამ გახსნა რაიონში პარტიული სკოლა რუსულ ენაზე და ამით დაუშვა შეცდომა, ვინაიდან რაიონში დიდი მოთხოვნილებაა ქართულ და ნაწილობრივ სომხურ სკოლისა.

კურსელების შემადგენლობის მხრივ უკეთესადაა საქმე მესამე რაიონის სკოლაში (თუმცა იქ სჭარბობენ კ. ა. კ. წევრები), აუდიტორია შემთვისებელია და საერთოდ მუშურია. ასეთივე მდგომარეობაა 1-ლი რაიონის სკოლაში. წინაალმდეგ წინანდელი შემადგენლობებით, 2 და 4 რაიონის პარტიული სკოლა, სოციალური შემადგენლობით ფრიად მრავალფეროვანია, კურსელები ცუდად დაიარებიან მეცადინეობაზე, განსაკუთრებით 4 რაიონიდან, და ნაკლებ ინტერესს იჩენენ თეორიულ საკითხებისადმი. სულ ყველა სკოლებისათვის გაწვეული იყო ორასი პარტიული ამხანაგი, მაგრამ ვინაიდან თითქმის ყველა რაიკომები მცირე ყურადღებას აქცევდნენ სასკოლო მეცადინეობას, კურსელების მთელი რიცხვიდან სკოლაში იარებოდნენ და მეცადინეობდნენ მხოლოდ 120 კაცი.

ყველა რაიონების პარტიულ სკოლების გამოშვება, რიცხვით მესამე, მოხდება მარტის ბოლოში. აგიტაცია - პროპაგანდის განყოფილების მიერ ზაფხულიდან დღევანდლამდე შესრულებულ სასკოლო მუშაობის შედეგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ მან გაატარა პარტიულ სკოლებში პარტიის 400 წევრზე მეტი, ე. ი. მთელი თბილისის ორგანიზაციის მეხუთე ნაწილი. დიდი მუშაობაა შესრულებული.

### ლიტერატურა.

თბ. კომიტეტთან მომუშავე ექსპედიციამ მიიღო თებერვლის თვეში ც. კ. და ბეჭდვითი ცენტრიდან.

წიგნები და ბროშურები—105, ჟურნალები—50, ადგილობრივი გაზეთები—2130, რუსეთის—573.

მიეცა რაიონებს, სკოლებს და თბ. კ. განყოფილებებს:

წიგნები და ბროშურები—472, ჟურნალები—60, ადგილობრივი გაზეთები—2130, რუსეთის—573.

საჭიროა დავძინოთ, რომ განყოფილება აგზავნიდა ლექტორებს კურსებზე ცალკე პროფკავშირებთან და საქ. საგ. კომისიასთან არსებულ პოლიტ-ცოდნის სკოლაში.

# მუშათა ცხოვრება

## მტვირთავთა არტელი

საქართველოს რკინის გზებზედ გადამტვირთ გადმომტვირთველთა გაერთიანებული მშრომელთა კომუნალური არტელის გამგეობის მიერ მოწვეულ იქმნა 27 თებერვალს საზოგადო კრება თფილისის სადგურების. კრებას წევრების დიდი უმრავლესობა დაესწრო, თავმჯდომარეთ აირჩიეს ნიკოლოზ კობიძე, მდივნათ აბელი თოდრია, დღიურ საკითხად იდგა პრეზიდიუმის მოხსენება არტელის შესახებ, მოხსენება პრეზიდიუმის სახელით გააკეთა მინა არევაძემ, რომელმაც აუხსნა კრებას ხელ-შეკრულება დადებული პრეზიდიუმის მიერ ამიერ კავკასიის რკ. გზ. მმართველობასთან. არევაძის შემდეგ სიტყვა ეძლევა არტელის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ნ. კობიძეს, მან თქვა: ამხ: მუშებო, თქვენ იცით, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით ყოველივე არტელური სისტემის, თქვენ იცით, რომ ჩვენ თქვენთან ერთათ ვებრძოდით „პოდრიაჩიკ რიადჩიკებს", მაგრამ თუ ჩვენ დღეს მას უჭერთ მხარს, ეს არ აიხსნება იმითი, რომ ჩვენ კომუნისტებმა პრინციპს ულალატეთ ან და პროგრამა შევცვალეთ, ოთხი წლის იმპერიალისტურმა და სამი წლის სამოქალაქო ომებმა შჩანთქა და გაანადგურა შექმნილი სიმდიდრე რომლითაც დიდი დაბრკოლება მიეცა პროლეტარულ სახელმწიფოს, ამას უნდა მიუმატოთ ჩვენ ის გარემოება, რომ ევროპის სახელმწიფოებიდან გარს შემორტყმული იყო პროლეტარული სახელმწიფოს საზღვრები და ბლოკადით ცდილობდენ ჩაეხრჩოთ რუსეთში მშრომელთა ძალაუფლება, და უნდა გითხრათ გულ ახდილათ, რომ ამ შავს მუშაობაში ნაწილი უდევთ ეგრედ წოდებულ სოციალ-გამცემლებს, რომლებმაც უღალატეს მუშათა კლასს, და რითაც დაბრკოლდა მსოფლიო სოციალისტური რევოლიუცია. ყველა ამ მდგომარეობით ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო იძულებული შეიქმნა დაყრდნობოდა საკუთარ ძალას და შრომის ნაყოფიერების აწევას თვით მშრომელთა სასარგებლოთ, და აი სწორეთ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ საშუალება მისცა კერძო ინიციატივას და არტელებსაც ჩაუდგეს წარმოებას სათავეში და თქვენ მიერ არჩეულმა გამგეობამ დაისახა მიზნათ მთელს საქართველოს ხაზზედ ჩამოეშორებია კერძო „პოდრიაჩიკები" და შეექმნა მშრომელთა კომუნალური არტელი, სადაც განაწილებული იქნება შრომა თანასწორათ. და მან კიდევაც მიაღწია მიზანს. დღეს ჩვენ მთელ საქართველოს ხაზზე გვაქვს ნამდვილი მშრომელთა კომუნალური არტელი, რომელიც თავდებია ჩვენი მთლიანობის და შეკავშირების. მართალია, მცირე ჯგუფი არ არის მომხრე მთლიანობის და ხელ-ფასის გათანასწორების, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ამ ჯგუფს აინტერესებს მარტო თავისი ჯიბე და კუჭი. მას დაუკარგავს ყოველივე მუშური პრინციპი, ეხლა ამხანაგებო, მოგიწოდებთ, რომ ამ დიდებულ საქმეს გასძღოლოდეთ ისე, როგორც ეს დაშვენდება შეგნებულ მუშებს, გაგიმარჯოთ თქვენ და გაუმარჯოს მშრომელთა ბატონობას მთელს მსოფლიოში. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ თბილისის საქონლის და სახალხო გადამტვირთ-გადმოტვირთველ მუშებმა მუშათა არტელის წევრებმა მოვისმინეთ მოხსენება არტელის შესახებ ამხ. არევაძის და ამხ. ნ. კობიძის, სავსებით ვეცნობით მათ მიერ დადებულ ხელ-შეკრულებას ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობასთან, და ფიცს ვსდებთ სავსებით გავატაროთ ცხოვრებაში მათ მიერ დადებული ხელ-შეკრულება, მასთან მოუწოდებთ მთელ ხაზზედ ჩვენს ამხანაგ მუშებს მხარი დაუჭირონ გაერთიანებულ მშრომელთა არტელს საქართველოს მთელ ხაზზედ, რომელიც საძირკველი იქნება ჩვენი ეკონომიური გაერთიანებისა.

**რკინის-გზელი.**

# პროვინციაში

## ქალთა დღესასწაული მარტვილის რაიონში (სენაკ. მაზ.)

8 მარტს მარტვილის რაიონში მოეწყო მშრომელი ქალთა საზეიმო კრებები (დ აგრეთვე საღამოები—პიესის დადგმა), სადაც იქმნა გაშუქებული ქალთა მოძრაობის მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით და მათი წარსული უმწეო მდგომარეობა, რასაც ადგილე აქვს დღესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში, ამ საზეიმო დღის, 8 მარტს, მარტვილის რაიონის მშრომელი ქალები საკმაო შეგნებას იჩენენ და დიდი გულდასმით უსმენენ მომხსენებლებს, მოხსენების და შეკითხვების (შეკითხვები უამრავი იყო) დამთავრებისას ერთხმად გამოტანილი იქმნა თითეულ თემში შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება, ქალთა საერთაშორისო წარსული და აწმყო მოძრაობის შესახებ უსამართლობის და მონობის წინაალმდეგ, სამართლიანობის და თანასწორობის დასამყარებლად, ჩვენ, მარტვილის რაიონის მშრომელი ქალები სრულიად ვიზიარებთ ქალთა საერთაშორისო მოძრაობას, რომელსაც სარჩულად უძევს, როგორც მშრომელთ მამაკაცებთან, გათანასწორება, ისე მათთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ბრძოლა ყაჩაღ კაპიტალისტების წინააღმდეგ, მშრომელთა სუფევის დასამყარებლად. ჯერ არ გვახსოვს ჩვენ, მშრომელ ქალებს, რომ ჩვენი ინტერესები დაეცვას ისე რომელიმე მთავრობას, როგორც იცავს საბჭოთა მთავრობა, ამიტომაც ჩვენ, მშრომელი ქალები სრული ნდობით უყურებთ მას, როგორც გამომხატველს მშრომელი ქალების და კაცების ინტერესებისა, და ფიცსა ვსდებთ, რომ თავგანწირულად ვიბრძოლებთ როგორც ყაჩაღ კაპიტალისტების ძალადობის წინააღმდეგ ისე ეკონომიურ ფრონტზე, რათა ავაყვავოთ ჩვენი ნამდვილი მუშური და გლეხური სახელმწიფო ჩვენივე ბედნიერებისათვის კომუნიზმის დასამყარებლად.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას, გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის ხელმძღვანელს, მესამე კომ. ინტერნს.

**მ. მონიავა.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დებულება

**იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების ცენტრალურ განყოფილებას და მისი ადგილობრივ განყოფილებებთან არსებულ ცენტრალურ და ადგილობრივ გამნაწილებელ კომისიების გამოცემული საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის 94 №-ის დადგენილების მე-5 მუხლის ძალით.**

1. გამნაწილებელ კომისიის დანიშნულება არის:

ა) სასჯელის მომხდელ პატიმართა განაწილება სხვა და სხვა სახის საპატიმრო ადგილებ შორის.

ბ) პატიმართა გაგზავნა სამუშაოთ საბჭოთა, საზოგადოებრივ და საწარმოო სხვა და სხვა დაწესებულებებში, ამ უკანასკნელთა შუამდგომლობისამებრ, კერძო ბინებზედ ცხოვრების ნება დართვით ან უამისოთ.

გ) გამოსაცდელ და გასწორების გზაზედ დამდგართა რიგების პატიმართათვის ამ რიგებში ყოფნის ვადის შემოკლება.

დ) გადაწყვეტა პატიმრის საჩივრისა საპატიმრო ადგილის კოლეგიის დადგენილებაზედ ან პატიმრის დაჯარიმებულთა რიგში გადაყვანის შესახებ.

ე) სათანადო კატეგორიის პატიმართათვის შევბულების მიცემა და სასჯელის დადება-გადაწყვეტა იმ პატიმრების მიმართ, რომელთაც შევბულების ვადას გადააცდინეს.

ვ) თავისუფლების აღუკვეთელად იძულებითი სამუშაოზედ გადაყვანა იმ პატიმართა, რომელთაც უკვე მოუხდიათ სასჯელის ორი მესამედი ან რომელთაც დაპატიმრების ვადის გასვლამდი სამ თვეზედ ნაკლები დარჩენიათ.

ზ) იმ დაწესებულებათა წინაშე, რომლების განაჩენით თუ დადგენილებით პატიმარი სასჯელს იხდის, ან სასჯელის მოხდის რაიონში მყოფ მათ გვარივე დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობა პატიმარის სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ, ან და საპატიმროდან პატიმარის განთავისუფლების შესახებ იძულებითი სამუშაოზედ გადაყვანით, თავისუფლების აღუკვეთულად, დარჩენილ ვადის ან მის ნაწილის განმავლობაში, თუ არ არსებობენ წინა პ. „ვ"-ში აღნიშნული პირობანი.

ც) პატიმრის გადაყვანა განსაცალკევებელ (საიზოლიაციო) საპატიმროში ან იქიდან გადმოყვანა.

**შენიშვნა:** დასჯა გასწორების ცენტრალურ განყოფილებას უფლება აქვს, კერძო შემთხვევაში, შეაჩეროს აღნიშნულ დადგენილებათა აღსრულება, ხოლო ამის შესახებ უნდა აცნობოს გამნაწილებელ კომისიას. ასეთ შემთხვევაში საქმე უნდა წარედგინოს იუსტიციის სახალხო კომისარს გადასაწყვეტად.

თ) დისციპლინარულ სასჯელის სახით დაპატიმრების ვადის გაგრძელება იმ პატიმართათვის, რომელნიც დაჟინებით არღვევენ შრომის დისციპლინას, ხოლო ვადის ასეთი გაგრძელება ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

ი) საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დახმარების საქმის მოწყობა და ხელმძღვანელობა.

კ) ყველა იმ საქმის გადაწყვეტა, რომელიც ეკისრება კომისიას საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის დეკრეტებით, კანონებით თუ განკარგულებებით.

2. გამნაწილებელ კომისიის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ პატიმარზედ, რომელიც სასჯელს იხდის სახალხო სასამართლოების და რევოლიუციონურ ტრიბუნალების განაჩენებით და აგრეთვე საქართველოს საგანგებო საგამომძიებლო კომისიის დადგენილებით.

3. გამნაწილებელი კომისია მისდამი დაქვემდებარებულ საკითხების გადაწყვეტას იწყებს ან საპატიმრო ადგილის კოლეგიის წარდგენით, ან პატიმრის თუ მისი მახლობელ ნათესავის თხოვნით ან და თავის თაოსნობით. უკანასკნელ ორ შემთხვევაში გამოთხოვილი უნდა იქმნეს საპატიმრო ადგილის კოლეგიის დასკვნა.

4. იმ დასჯა-გასწორების დაწესებულებაში, სადაც კოლეგია არ არსებობს წინა მუხლში აღნიშნულ დასკვნას იძლევა საპატიმრო ადგილის უფროსის, მის თანაშემწის, მასწავლებლის და ექიმისგან შემდგარი სათათბირო.

5. საპატიმრო ადგილებ შორის პატიმართა პირველ განაწილების დროს კომისია მხედველობაში იღებს პატიმარის ინდივიდუალურ თვისებათ, მის წლოვანებას, ჩადენილ დანაშაულის ხასიათს, სამართალში მყოფელობას წინად და სხვ.

6. გამნაწილებელი კომისია შემდეგშიაც თვალყურს ადევნებს ყველა საპატიმრო ადგილებში მყოფ პატიმართ, რომელთა შესახებ საჭირო ცნობებს და მასალას იღებს საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციისაგან.

7. კომისიის წევრებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლივ ინახულონ რესპუბლიკის ყველა საპატიმრო ადგილი, შევიდნენ საკნებსა, სახელოსნოებსა, საავადმყოფოებსა, სკოლებსა და ყველა ისეთ ადგილს, სადაც კი პატიმრები იმყოფებიან.

8. ცენტრალურ გამნაწილებელ კომისიას, ზედამხედველობის წესით ან და პატიმრის თუ მისი მახლობელ ნათესავის საჩივრის გამო, უფლება აქვს შესცვალოს ან სრულიად გააუქმოს ადგილობრივ გამნაწილებელ კომისიის დადგენილებანი.

9. კომისიის სხდომები ხდება განსაზღვრულ დღეებში, კვირაში ერთხელ მაინც. სხდომები უნდა მოეწყოს, რამდენათაც ეს შესაძლებელია, საპატიმრო ადგილებში.

10. კომისიის სხდომები ითვლება კანონიერად თუ დაესწრო არა ნაკლებ სამი წევრისა. კომისიას დადგენილება გამოაქვს ხმის უბრალო უმრავლესობით და ეს დადგენილება იწერება ჟურნალში.

11. კომისიის ყველა წევრი და სხდომაზედ მონაწილეობის მისაღებათ მოწვეული პირი გასამრჯელოს იღებს იმ რაოდენობით, რომელიც დაწესებულია საუწყებათაშორისო თათბირისათვის.

12. გამნაწილებელ კომისიის დადგენილებათ ასრულებენ დასჯა-გასწორების ცენტრალური განყოფილება და მისი ადგილობრივი განყოფილებანი.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე **ს. კარტოზია.**

1922 წ. თებერვლის 22.

ქ. ტფილისი.

# თესვის კამპანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სათესლე მასალა საქართველოსათვის

თესვის ც. კომიტეტის საგანგებო რწმუნებულმა ამხ. ევეცმა შემდეგი ცნობები მიაწოდა ს. ს. დეპ. სააგენტოს თანამშრომელს თესვის მიმდინარე კამპანიის შესახებ საქართველოში. ომამდე, თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში, რუსეთის ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის ფიქსაციის თანახმად 1915 წლისათვის, დათესილად ითვლებოდა 600,000 დეს. მიწა, რომელიც ითესებოდა გლეხების საშუალებით და ძალებით, ხსენებულ სივრციდან სიმინდს ეჭირა 48 პროც., შემოდგომის პურეულს—24 პროც. და ანეულს 28 პროც. 1915 წლიდან სათესი სივრცე საქართველოში ნელნელა, მაგრამ სისტემატიურად მცირდებოდა. მსოფლიო იმპერიალისტური ომი, განუწყვეტელი ომები მეზობლებთან, შეტაკებანი ახალციხის და სხვა რაიონებში აცდენდნენ ქართველ მშრომელ გლეხურ მოსახლეობას ჩვეულებრივ სასოფლო მუშაობიდან; უკანასკნელ დროს გარეკილ იქნა მნიშვნელოვან რაოდენობით პირუტყვიც, რომელიც გამოიყენეს სამხარ მიზნებისათვის. ყველა ამ გარემოებებმა უაღრესად დააუძლურეს გლეხური მეურნეობა, შეუმცირეს მომუშავე ძალა მინიმუმამდე, საგრძნობლად დასცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ძალუმად დასცეს მისი დონე.

1921 წელში გლეხებმა დამოუკიდებლად, მთავრობის დაუხმარებლად დათესეს მხოლოდ 440,000 დეს. მიწა. მთავრობამ მისცა გლეხებს ყანების დასათესად სათესლე მასალა და ფული თესლის საყიდლად, 80,000 დესეტინის ანგარიშის მიხედვით. სულ დაუთესავი დარჩა 1921 წელში 80,000 დეს. ამგვარად, მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის წინაშე წამოიჭრა მძიმე ამოცანა 1921 წ. დათესვის ნაკლებობის ლიკვიდიციისა. საჭიროა აღინიშნოს, რომ მოსავალი საქართველოში არასოდეს არ ფარავდა მოსახლეობის სასურსათო მოთხოვნილებას და თვით დათესვის საუკეთესო პირობების და საშუალოზე მეტი მოსავლიანობის დროს, პურის დაკლებულ რაოდენობას ყოველთვის იძენდნენ უცხოეთის ბაზრებზე, ეზიდებოდნენ რუსეთიდან, ამიტომ 80.000 დეს. დაუთესველობამ მეტად მძიმე შედეგი გამოი[...] და საგრძნობლად შეარყია ეკონ[...] მიური წონასწორობა. მაშინვე ი[...] შესრულებული მთელი რიგი სა[...] შაოებისა 1922 წლისათვის საჭი[...] სათესლე მასალის გამოსარკვევა[...] გლეხურ მოსახლეობის სათესლე მ[...] თხოვნილების დაკმაყოფილების მი[...] ნით. წარმოებულ მუშაობის [...] დეგად, მოსახლეობისათვის სათეს[...] დახმარების ციფრი გამოანგარი[...] ბულ იქნა და დაწესებული 300.[...] ფუთი ხორბალი და ქერი და 1[...] ათასი ფ. სიმინდი. მაგრამ სტიქი[...] მა უბედურებამ, სეტყვამ, გვალვამ [...] სხვა, გამოიწვიეს 1921 წლის მო[...] სავლობა საქართველოს თითქ[...] მთელს ტერიტორიაზე, რასაც მო[...] სასოფლო-სამეურნეო პროდუქ[...] ძალუმი დაცემა, განსაკუთრებ[...] დაზარალდა პურეული, ამიტომ [...] სახმარებლად გამოანგარიშებული [...] თესლე მასალის რაოდენობა აღმო[...] და მცირე და საჭირო შეიქნა შე[...] ტანა დაუთესველობასთან ბრძოლ[...] გეგმაში მსხვილი შესწორებები [...] ძირითადი ცვლილებები. საჭირო [...] შეგვედგინა გლეხურ მოსახლეობ[...] თვის დახმარების ახალი გეგმა. შე[...] მნა მძიმე მდგომარეობა. ულარი[...] გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწ[...] მიმდინარე, საგაზაფხულო კამპანი[...] მოკლებულია საშუალებას დასთე[...] საყანეები მთავრობის მხრივ ფარ[...] დახმარების გარეშე. გლეხობას [...] შეუძლია დახმარების გაუწევლად დ[...] თესოს იმ სივრცის ნახევარიც კი, რო[...] ლიც მან დასთესა 1921 წელში. გან[...] კუთრებით დაზარალდა სეტყვისა, გ[...] ლვისა დ სხვა სტიქიურ უბედურებ[...] გან შემდეგი რაიონები და მაზრ[...] შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, ბორ[...] ლოს და ახალქალაქის. ამ მაზრებ[...] სიმშილობაა. მთელი რაიონები [...] თაისის, ოზურგეთის, გორის, დუ[...] თის, თიანეთის მაზრებში აგრე[...] ძალიან დაზარალდნენ სტიქიურ უ[...] დურებისაგან.

რომ მიმდინარე წელში დაითე[...] თუ გინდ ის სივრცე, რომელიც [...] დათესილი შარშან, 1921 წელში, [...] ჭიროა 480.000 ფუთი სათესლე [...] სალა—ხორბალი, სიმინდი და ქ[...]

**სარედაქციო კოლეგია.**



## მუშათა მთლიან კოოპერატივის დროებითი მმართველობა

აცხადებს, რომ **მუშათა მთლიან კოოპერატივის რწმუნებულთა კ[...]ბა გაიხსნება 25 მარტს პროფკავშირების კლუბის ბინაზე** (რუსთაველ[...] პროსპექტი, მუშათა სასახლე). რწმუნებულთა რეგისტრაცია და მათთ[...] მანდატების მიცემა იწარმოებს მუშათა მთლიან კოოპერატივის საორგ[...]ზაციო საინსტრუქტორო განყოფილების ბინაზე (კირკის ქუჩა, 7) ხუთშ[...]თიდან, ამა წლის 23 მარტიდან.

## სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სალითონო განყოფილების
## ტეხნიკური კანტორა და მაღაზია

**სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ხელსაწყო იარაღებისა.**

პლეხანოვის პროსპექტი, 87.

**აწვდის ყველას:** გუთნებს, კულტივატორებს, გამოსანიავებელ იარაღებს, სიმინდის დასაფშვნელებს, ბარ-ნიჩბებს, ცულდ-ნაჯახებს და სხვა.

მიღებულია ამასთანავე პიკარდ უაიტის სისტემისა და სხვა სათადარიგო საავტომობილო ნაწილების დიდი წყება.

ი ყ ი დ ე ბ ა ბითუმად და წვრილ-წვრილად მიიღება საკომისიოდაც.

(5—2)

## ხელის მომწერთა საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს გაზეთ „პრავდა გრუზიის", „[...]მუნისტის", „კარმირ ასტღ"-ის და „ახალი აზრის" ხელის მომწერთა [...] ხელმწიფო დაწესებულების, პარტიული და მუშათა ორგანიზაციების [...] კერძო პირთა) საყურადღებოდ, რომ შემდეგში გაზეთებს მიიღებენ ი[...] მხოლოდ ხელის მოწერის ფასის გადახდის შემდეგ. იმ დაწესებულებებს [...] პირთ, რომელთაც გასული თვეებისთვის გადასახადი არ შემოუტან[...]

**გაზეთების მიწოდება უსათუოდ შეუწყდებათ.**

ხელის მოწერა და ფულის მიღება გასული თვეებისთვის სწარმო[...] წინასწარ სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 5).



## პარტიული

საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-3 რაიონული კომიტეტი წინადადებას აძლევს შემდეგ პასუხისმგებელ ამხანაგებს, რომლებიც თბილისის კომიტეტის დადგენილების თანახმად მიმაგრებული არიან მე-3 რაიონზე, შემოიარონ 2 დღის განმავლობაში მე-3 რაიკომში მეცადინეობის დროს, შესახებ ცნობებისა და იარეიკის (რაზედაც თითონ ა[...] მიმაგრებული) სახელწოდების [...]ღებად.

სია მე 3 რაიონში გადარიც[...] ამხანაგებისა: 1. ავაკოვი ვართა[...] ადეგაზალოვი, 3. კოსიანი, 4. [...] ფოვი, 5. ილია წივწივაძე, 6. [...]ტორ დონენკო, 7. ლეგრანი, 8. [...]რენ ერზიკიანცი, 9. შახტატინსკ[...]

2—